



საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახაზებიანი გაზეთი გამოდის ყოველ კვირა დღეს

№ 51

დეკემბერი 17 1900

გვ. 835-36 815. № 51

შინაარსი: ქალაქის მომავალი არჩევნები ნ. ჟორდანიასი.—პატარა პასუხი დიდ კითხვაზე მისივე.—სხვა-და-სხვა ამბები.—„კვალი“-ს კორესპონდენციები.—ჩვენი სახიობა.—პოლიტიკური მიმოხილვა.—* * * ლექსი დ. თომაშვილისა.—ხსოვნა, მოთხრობა ელ. წერეთლისა.—ბიბლიოგრაფია და განცხადებები.

„კვალის“ რედაქცია გადავიდა საპიერნის ქ. № 15

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო
ნახაზებიანი გაზეთი

„კ ვ ა ლ ი“

(წელიწადი მეცხრე)

გამოვა 1901 წელსაც ყოველ კვირა დღეს, **გაფართოვებული ფორმატით** ერთიდან სამ თაბახამდე.

რედაქციისაგან: რადგანაც ახალ-წლიდან „კვალის“ გამოცემის საქმე ახალ პირობებში დგება, ამისათვის შესაძლებელი ხდება გაზეთის სივრცით გაფართოვება, ახალი მუდმივი განყოფილებების შემოღება და მით შეიძლება წელიწადის, მეტი საკითხავი მასალის მაწოდება.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაიბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის ყველა შესანიშნავ მოღვაწეთა სურათები (ევროპის, რუსეთის და ჩვენი) მათი ბიოგრაფიებით.


გაზეთი წლიურათ ღირს თფილისში 7 მანეთათ, თფილისის გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისის გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამ მთურათ.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის იუული ნაწილი-ნაწილათ შემოიტანონ.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა), რკინის გზის სადგურზე—პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ნხარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში, საპიერნის ქუჩა, № 15, ალექსანდროვის ბაღის ახლოს.

ქუთაისში: მიტროფანე ლალიძესთან და ვ. ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და სახალხო უფასო სამკითხველოში; ოზურგეთში და ახალ-სენაკში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ქიათურაში კარპე მოღებაძესთან და ყვირილაში ივანე არღიშვილთან.

ფოსტის აღრესი: Тифлисъ. Редакция „КВАЛИ“.



ქალაქის მომავალი არჩევნები.

როგორც იყო მოაღწია იმ დროს, როცა იმდენი დავიდარებით შობილი თფილისის საბჭო უნდა დაიშალოს და ხელ-ახალი არჩევანი დაინიშნოს. მართალია ამ დროსაგან კიდევ რამოდენიმე თვე გვაშორებს, მაგრამ მიუხედავად ამისა უკვე შეგნებული ქალაქელი ახლავე უნდა ზრუნავდეს იმაზე, თუ როგორ და რა საშუალებით მოიშოროს ეს საბჭოს ძალათ-მოვლენილი უმრავლესობა და ქალაქის საქმეები რაიმე წეს-რიგში ჩააყენოს. ის ხუთი თვე, რომელიც არჩევნებამდის დაგვრჩა, არც კი კმარა ქალაქის აწეწილ-დაწეწილ ამბების გასაგებათ, მათი სინათლეში გამოსატანათ და ამომრჩევლებისათვის ახალი პროგრამის მისაწვდენათ. ხოლო ასეთი გასაგები და გამოსაძიებელი ამბები ერთობ ბევრია. ყველა შორიდან მაყურებლისათვის დღესავით ნათელია, რომ ახლანდელი საბჭო ვერ არის თავის ალაგას, მან ვერც ერთ საქალაქო საქმეში ვერ გამოიჩინა უბრალო გამჭრიახობა და რასაც კი ხელი მოჰკიდა ან გააფუჭა. ან და დაუბოლოვებელი დასტოვა. ასე რომ დღევანდელი თვით-მართველობის მოტრფილეს, გარდა მისი მომავლინებელი 300—400 პლუტოკრატისა, ქალაქში იშვიათათ შეხვდებით. და ისინიც კი, ვინც მას გუნდრუქს უკმევენ, თავის აზრს აშკარათ ვერ ამჟღავნებენ და ისევ დარცხვენილივით ჩუმად ჩურჩულობენ. და აი სწორეთ ამ ჩუმად ჩურჩულის ნაყოფია ეს ბედდოვლათიანი საბჭო და, თუ შესაფერი ღონისძიება დროზე არ იქმნა მიღებული, ადვილათ შესაძლებელია იმავე ჩურჩულმა გადაწყვიტოს მომავალი არჩევნებიც. ეს მით უფრო საფრთხილოა, რომ, საზოგადოთ, დაქერილი ადგილის შენახვა ყოველთვის უფრო ადვილია, ვინემ ახალის მოპოება. უბრალო ჯირკის დაძვრაც კი ჯაფას მოითხოვს, და ხშირათ დიდ ჯაფასაც, ხოლო ადამიანთა კრებულის დაცვლა, თუნდაც ეს თფილისის ხმონები იყვენ, უეჭველათ მთელი ძალღონის ამოძრავებას საჭიროებს. და აი, ამ ძალღონის გამონახვა, შეერთება და რიგზე გამოყვანა ახლავე უნდა დაიწყოს.

ვინ არის ეს დამწყები? ეს არის ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობა, ჟურნალ-გაზეთობა პირუთენელი, უანგარო და მხოლოთ საქმისათვის გულშემატკივარი. მაგრამ პრესის ამ ნაწილმა შესაფერი გადგენა რომ მოიპოვოს, საჭიროა პირველ ყოვლისათვის მან გამოიკვლიოს თავისი სახელმძღვანელო აზრები, თვითონ მან უთხრას თავის თავს, რა სურს მას, რას ესწრაფვის და რას გაურბის და ასე ბრძოლის

ველზე ხელი-ხელს მიცემული გამოვიდეს. შესაძლებელია მაშინ, როცა თითოეული ორგანო ამ საგანზე თავის აზრს გამოთქვამს და გვამცნებს იმას, თუ როგორ უცქერის დღევანდელ საბჭოს მოღვაწეობას, თფილისის მრავალ-გვარს საჭიროებას და სად ეძებს სახსარს ამ საჭიროებების დაკმაყოფილებისას. ამით ერთმანეთს მიაგნებენ როგორც მტრები, ისე მეგობრები და დას-დასათ დაწყობილნი ამომრჩევლებს წინ წაუძღვებიან.

აქ ერთი უარპყოფს ბრძოლის იმ წესს, რომლითაც წინეთ ომი წააგო, ხოლო მეორე ჩაებლაუტება სწორეთ იმას, რითაც უკანასკნელათ ომი მოიგო. ასეთია ყოველივე შეხეთქების ბუნება და ამასვე უნდა დავიმორჩილონ თფილისელებიც. 1897 წლის არჩევნებზე ამომრჩევლები დანაწილდენ თანხმობით გვარ-ტომობისა, აქ კითხულობდენ სომეხი ხარ, ქართველი თუ რუსიო და არა რა ჭკუის და გაგების კაციო. საქმის ცოდნა, ქალაქის საერთო ინტერესები უკან ჩამოაყენეს და მის ალაგას შთამომავლობა გაამეფეს. და აი, ამ ნაციონალური დროშის აფრიალებით მოიგეს სომხის შეძლებულებმა და ხელში ჩაიგდეს მთელი ქალაქი. ცხადია, ეს გაბატონებული პარტია იმავე საშუალებას წამოაყენებს მომავალ არჩევნებზე და მოინდომებს ამით კიდევ ერთხელ გამარჯვებას. მეორე მხრით, ამავე გზას ადგა მაშინდელი ოპოზიცია და თუმცა სიტყვით (მწერლობაში) გვრწმუნებდა ჩვენთვის არსებობს კაცი და არა გვრტომობაო, მაგრამ საქმით მაინც გვარტომობის პროგრამას იცავდა და კიდევაც დამარცხდა. ცხადია, ოპოზიციამ ხელ-ახლა აღარ უნდა წამოაყენოს ეს მისი დამმარცხებელი პროგრამა და შეიმუშაოს ახალი.

რაკი ნაციონალური დროშა ვერ არის დროშა ოპოზიციის, აშკარაა მან უფრო ხელსაყრელი დროშა უნდა ააფრიალოს და მას ქვეშ მოიწვიოს მოქალაქენი. ეს დროშა, პირველყოვლისა, ვერ იქნება დროშა ნაციონალური განკერძოების, ვინაიდან ის გამარჯვებულთა დროშაა; ის ვერ იქნება დროშა კმაყოფილების, ვინაიდან ეს კმაყოფილთა დროშაა. ერთი სიტყვით ოპოზიციის ბაირალ ქვეშ უნდა ერთდებოდეს ყველა უკმაყოფილო ნაწილი ქალაქისა, და ამ საერთო ძალღონით გარღვეულ იქმნას შეძლებულთა ბატონობა. ადვილათ შესაძლებელია ეს სხვ-და-სხვა ნაწილი მოქალაქეთა სხვა-და-სხვა ლტოვილების და მიდრეკილების იყვენ, საბჭოს დანიშნულება სხვა-და-სხვა ნაირათ ესმოდეთ და მის დარბაზში სულ სხვა ჭანგზე ამდერდენ, მაგრამ საერთო მტრის წინაშე ისინი მაინც ერთათ უნდა იდგენ და მხოლოთ შემდეგ



გამარჯვებისა თავ-თავის გზით ვიდოდენ. ეს არის ბრძოლის ტაქტიკა და ეს ტაქტიკა უნდა იქნეს წამოყენებული თფილისშიაც.

ვინ არიან ეს უკმაყოფილო ნაწილნი? პირველ ყოვლისა ეს არის ქართველობა, რომელიც სრულიად გამორიცხულია საბჭოსაგან; მეორეთ თვით სომხის მოწინავე პირები, რომელნიც მართალია საბჭოში არიან, მაგრამ არიან როგორც ოპოზიციონისტები და უმცირესობას შეადგენენ. მესამეთ— ყველა დანარჩენი ერის მოწინავე ხალხი, რომელიც დღევანდელი საქალაქო წესებით ვერ არის კმაყოფილი და სურს უკეთესი წყობილება, და მეოთხეთ — ქალაქის მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა, რომელსაც მართალია არჩევნებში ხმა არა აქვს, მაგრამ თავისი თანაგრძნობით და საზოგადო აზრის შედგენით დიდ სამსახურს უწევს ხოლომე ოპოზიციის მებრძოლთ. ამ ელემენტთა კავშირი, არა მარტო სიტყვით, არამედ საქმითაც, წარმოშობს ძლიერ არმიას და მას ვერ გაუმაგრდებიან სოლოლაკელები. ამას ხელს შეუწყობს თფილისის სამ საარჩევნო ნაწილათ დაყოფაც. თუ ერთ ნაწილში სოლოლაკელები შეადგენენ უმრავლესობას და თავის კაცთ აირჩევენ, სამაგიეროთ მეორესა და მესამეში სხვა შეძლების და მდგომარეობის ამომრჩეველნი შეიკრიბებიან და თავის წარმომადგენელთ გაათეთრებენ. მხოლოთ საჭიროა ამ უკანასკნელთა შორის საგვარტომო პროგრამა არ წამოყენდეს და მით სოლოლაკელთა გზაზე არ დადგენ.

ამ გვართ, დღევანდელი საბჭოს უმრავლესობის გარდევნა და მით ერთი მუჭა ძალათ მაცხოვნეთაგან ქალაქის განთავისუფლება—აი ყველა უკმაყოფილოთა საერთო მიზანი, აი რას უნდა ემსახურებოდენ ქალაქის მოწინავე მოღვაწენი...

ნ. ჟორდანია.

ბაჭარა ბასუხი დიდ კითხვამე*).

ერთი შორს მყოფი ქართველი გვეკითხება: წვრილი ერნი უნდა ცდილობდენ დაიცვან თავისი ხალხოსნობა თუ არაო. ეს კითხვა თან ატარებს თავის პასუხს. ეს იმას ჰგავს, ადამიანს რომ ჰკითხო, შენ სიცოცხლეს უნდა ცდილობდე თუ არაო. თავის თავათ ცხადია, რომ რაკი ქვეყანაზე ვინმე იშვა, არის ეს ბუნების გვირგვინი, თუ უბრალო ქია, ის ამით იძულებულია თავის თავი დაიცვას და ხანგრძლივი არსებობა უზრუნველ ჰყოს. ეს ბუნების კანონია და ამას მორჩილებს ყოველი. ამ კანონს ვერ გადაუხვევს ვერც ერთი. ერა, ისე როგორც კერძო პირი, უეჭველათ მეცადინეობს გაიზარდოს,

* ეს წერილი, რომელიც უნდა დაბეჭდილიყო უკანასკნელ ნომერში, მხოლოთ ახლა იბეჭდება...

გამაგრდეს და ცხოვრების ასპარეზზე შესაფერის ალაგი მოიპოვოს. შეიძლება ამ მის მიწვევას თვითონ არ გრძნობდეს, ნათლათ წარმოდგენილი არა ჰქონდეს, არც კი იცოდეს თუ საით, ან როგორ მიდის, მაგრამ მიუხედავათ ყველა ამებისა მაინც ამ გზას ადგეს და გადაუხვევლათ მასზე ვიდოდეს. და ეს იმიტომ რომ მას უამისოთ სიცოცხლეს არ ძალუძს, ამ გზის უარის ყოფა მისი სიკვდილია, სიკვდილი არა მარტო ეროვნული, არამედ ფიზიკურიც. აბა რომელმა ერმა დაჰკარგა თავის პირადობა ისე, რომ იმავე დროს ის ფიზიკურათაც არ მომკვდარიყოს? მოკვდენ ძველი ბერძნები და რომაელები, მოკვდენ და დღე მუდამ კვდებიან ამერიკის უკულტურო ხალხები. ერთი გინდ ასი კაცის გადაგვარება შეიძლება ისე, რომ ისინი არ დაიხოცონ, მაგრამ მთელი ხალხს, მთელი ერის— შეუძლებელია. ერის გადაგვარება ნიშნავს დაკარგვას მისი ენის, კულტურული მდგომარეობის და ტერიტორიის. თუ კი მას არცერთი ეს არ ექნება, თუ კი მაგ. ფრანგები ფრანგულათ ველარ ილაპარაკებენ, ყოველივე ფრანგული წყობილება მოეშლებათ, საფრანგეთში აღარ იცხოვრებენ, განა ისინი მაინც ფრანგები იქნებიან? არა, ისინი იქნებიან რალაც სხვა ხალხი, ხოლო ფრანგები კი არასოდეს. ცხადია, ყოველივე ერთი მდგომარეობით იძულებულია თავისი „მე“ დაიცვას და რაც შეიძლება განავითაროს. ზან ერთხმათ, ერთი სურვილით რომ მოინდომოს საკუთარი პირადობის უარისყოფა და სხვისი შეთვისება—ეს მაინც არ შეიძლება, არ შეეძლება იმიტომ რომ მისი პირადობა მის სურვილზე არ არის დამოკიდებული, პირიქით, მისი სურვილი მისი პირადობისაგან, მისი მდგომარეობისაგან მომდინარეობს. და როცა ამ სურვილს გზა-კვალი აებნევა და ამ განწყობილების შებრუნებას მოიწადინებს—ის „შერცხვენილი“ რჩება და უტოპიურ ჩიხვაში იხლართება.

ასეა თუ ისე, რაკი ერთი არსებობს—ის ძალუძებურათ ეროვნულ ცხოვრებას ეწევა და მას სხვა ნაირი ცხოვრება არც კი შეუძლია. მის სხეულს ხშირათ მოძვრება ეს თუ ის ნაწილი, მაგრამ საკვირველია რომ ეს ყოველთვის უსარგებლო და გამოუსადეგარი ნაწილებია. ეს ასე ვთქვათ ხორც-მეტებია, რის მოშორება კიდევ უფრო გააღონიერებს და გააჯანმრთელებს ორგანიზმს. ისტორიაში არა ერთხელ მომხდარა ერის რომელიმე წოდების გადაგვარება, მაგრამ ეს ყოველთვის ხორც-მეტი წოდება ყოფილა და ერის საზოგადო მსვლელობა ოდნავაც ვერ შეუჩერებია. რაკი ყოველივე ერთი იძულებულია ეროვნული ცხოვრებით იცხოვროს, აშკარაა, რაც უფრო შეგნებუ-

ლათ მოაწყობს ამ ცხოვრებას მით უფრო ჩქარა შესარულდება თავის მოწოდებას და საკაცობრიო სარბიელზე შესაფერ ალაგს დაიჭერს.

მეტყვიან: კაცობრიობის ბედნიერება მოითხოვს ყველა იმ ათასნაირი ენის არსებობას, რაიცა დღეს არის? უმჯობესი არ იქნება ქვეყანაზე ორი-სამი ენა იყოს და მათი საშუალებით წინ წავიდეთ?

ჯერ ერთი, საქმე უმჯობეს — უარესობაში კი არ არის, საქმე სინამდვილეშია. ხოლო სინამდვილე გვეუბნება, სხვა-და-სხვა ენები და ერები არსებობს და მათი აღმოფხვრა როგორც ზემოთ ვთქვი შეუძლებელიაო. მეორეთ, განა ბედნიერება თუ უბედურება მრავალ ენებისაგან მომდინარეობს? შეიძლება ასი მილიონი ხალხი ერთ ენაზე საუბრობდეს, მაგრამ მაინც უბედური იყოს, შეიძლება აგრეთვე ასი მილიონი ხალხი ას ენაზე საუბრობდეს ხოლო ბედნიერი კი იყოს. სამასი მილიონი ჩინელი ერთ ენაზე ლაპარაკობს, სამი მილიონი შვეიცარიელი ოთხ ენაზე. ერთი სიტყვით უბედურება წარმოდგება არა ენების სიმრავლისაგან, არამედ საზოგადო ცხოვრების ცუდით მოწყობისაგან. ამგვართ, ერი — ეს ბუნებრივი მოვლენაა, მისი ძალათ გადაგვარება. და სხვა ერთ გარდაქმნა აღემატება ადამიანთა ძალ-ღონეს; შეიძლება მხოლოდ მისი შებორძიკება, შებორკვა და შელახვა, მაგრამ ბოლოს მან მაინც უნდა იპოვოს თავისი ბუნებრივი გზა-კვალი და განვითარდეს. ხარისხი მისი განვითარებისა მჭიდროთ შეკავშირებულია ამა თუ იმ ისტორიულ პირობებთან. ერი პატრიარქულ მდგომარეობაში ჩაჭერილი სრულიად სხვა ერია, ვინემ ერი კაპიტალისტური, აგრეთვე ერი მომავალი სრულიად სხვა იქნება, ვინემ ერი დღევანდელი. მისი შინაგანი განწყობილება, მისი კულტურული მომზადება და ნაწილების დამოკიდებულება იცვლება თანახმათ ნივთიერი პირობების შეცვლისა. ამ საერთო ცვალებადობაში რჩება ერთი რამ უცვლელათ — ეს არის ერის ბუნებრივობა და მისი მოძრაობის აუცილებლობა. ის, მართალია, ხან ჩქარა მოძრაობს და ხან ნელა, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მოძრაობს კი. და აი, ამ მოძრაობით ასაბუთებს ის თავისი არსებობის კანონიერობას...

ბ. ჟორდანია.

სხვა-და-სხვა ამბები

ღო დეკემბერს ავთამყოფ და მოხუც მასწავლებელ ქალთა თავშესაფარის ასაგებათ გამართულ ბაზრიდან დარჩენილა დაახლოვებით 1600 მ წმინდა მოგება.

ათ ამ თვეს მოხდა ქართველ ხელოსანთა ამხანაგობის „შრომის“ წევრთა საზოგადო კრება. ამხანაგობის გამგეობამ კრებას წარმოუდგინა ანგარიში დასამტკიცებლათ; ამ ანგარიშიდან ჩანს, რომ ამხანაგობას პირველ ნოემბრამდე საწევრო ფული ჰქონებია 965 მან. მიღებული ბეები 400 მან., ვალი ამხანაგობისა 623 მან. 52 კაპ.; კასაში 30 მან. 20 კ. სამეურნეო ბანკში 14 მან. 17 კაპ., მალაზიაში საქონელი 1019 მან., მასალა დარჩენილი 151 მან. 45 კაპ., იარაღები და ავეჯეულობა 472 მან. 50 კ. 1 ივლისამდე მოგების დანარჩენი ფული 102 მან. 64 კაპ. მაგრამ რადგანაც საერთო ანგარიში ზარალით თავდებოდა, კრებამ არ დაამტკიცა იგი. ზარალის ასახსნელათ გამგეობის თავმჯდომარემ ბ. არტ. ახნაზაროვმა თქვა, რომ საქმე ჩაიბარეს წინანდელი გამგის ჩოდრიშვილისაგან აწეწილდაწეწილათ და ზარალითო. ამაზე ბ. ჩოდრიშვილმა წარუდგინა კრებას მიღების ბარათი, რომლიდანაც ჩანს, რომ გამგეობას მისგან ყოველივე სისწორით და სრულიად მიუღია. ამან გამოიწვია დიდი კამათი. ამ დავიდარაბის გამოსარკვევათ და გამგეობის საქმეების შესამოწმებლათ არჩეულ იქმნა განსაკუთრებით კომისია, რომელმაც ერთ თვეში უნდა განიხალოს ყოველივე და კრებას მოახსენოს.

17 ამ თვეს თფილისში, მუშტიადის სააბრე-შუმო სადგურზე, გაიმართება კავკასიის მეაბრეშუმეთა და აბრეშუმის მწარმოებელთა პირველი კრება. კრებას მართავს რუსეთის საიმპერატორო საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილება.

თფილისის ქალაქის გამგეობას 1 იანვრიდან 10 დეკემბრამდე შემოსვლია: დასაფასებელი გადასახადისაგან — 363,563 მ. 46 კაპ., სატრაქტირო გადასახადისაგან — 41,486 მ. 87 კაპ., ცხენებისა და ეტლების გარდასახადისაგან — 32,223 მ. 78 კაპ., ნოტარიალურ გარდასახადისაგან — 14,232 მ. 87 კაპ., სვაქრო სტოლების დასადგმელ ადგილებისაგან — 16,726 მ. 44 კაპ., ქალაქის შენობების გარდასახადისაგან — 13,998 მ. 58 კაპ., ქალაქის წყლის მილისაგან — 198,702 მ. 61 კაპ., ქალაქის საყასბოებისაგან — 60,606 მ. 23 კაპ., საქონლის დასაყენებელ ადგილიდან — 19,840 მან. 46 კაპ., და საჯარიმო დასაფასებელ გარდასახადისაგან — 18,113 მან. 2 კაპ.

წერა-კითხვის საზოგ. გამგეობას განუზრახავს გამოაცხადოს პრემია (არა ნაკლებ 400 მ.) ქართულ ლიტერატურის და ისტორიის სახელმძღვანელოზე.

თუ რანაირი უნდა იყოს ეს თხზულება — ამას შემდეგ გამოაცხადებენ.

„Вѣстникъ гор. д. и ор. на Кавк.“ სწერს, რომ ისევ შეუდგებიან ოქროს მადნების ძებნას კახაბერის ხეობაში, ბათუმის ოლქში. მოძებნის ნება მიეცა კაპიტალისტებს აბრამოვს, პაპოვიჩს და სემენოვს. გარდა ამისა ამბობენ რომ ოქსაში შემდგარა კაპიტალისტთა საზოგადოება, რომელიც აპირებს ახლო მომავალში შეუდგეს ოქროს ძებნას ამავე კახაბერის ხეობაში.

გზათა სამინისტროს განზრახვა აქვს შეიქმნოს ნოვოსელსკისეული ტყიბულის ქვა-ნახშირის მადნები ამიერ კავკასიის რკინის გზების საჭიროებისათვის.

საზოგადო სახელმწიფო საადგილ-მამულო გადასახადი ახალქალაქის მაზრაში აღნიშნულია 349,000 მან. ასე რომ დესეტინა მამულებზე მოდის 3 მ. 93 კ გადასახადი. სახაზინო პალატის მმართველმა ვერეტენიკოვმა, მიიღო რა მხედველობაში ის გარემოება, რომ წარსულ წელში ეს მაზრა ძირეულ დაზარალდა მიწის ძვრისაგან, თხოვა უმაღლეს მთავრობას შეუმსუბუქონ გადასახადი 24% -ით და ეს განსხვავება გაანაწილონ სხვა მაზრებზე.

მიწათ-მოქმედების რწმუნებულის მიერ გამოქვეყნებულ ცნობებიდან ჩანს, რომ ქუთაისის გუბერნიაში წლიურათ მოჰყავთ 132,000 ფუთი თამბაქო (თფილისის გუბერნიაში მხოლოდ 30,000 ფუთი). თამბაქოს უდიდესი პლანტაციები არის სოხუმის, ბათუმისა და ართვინის ოლქებში; დანარჩენ შვიდ მაზრაში თამბაქოს მოყვანა გავრცელებულია მარტო ოზურგეთის მაზრაში და ამ მაზრაშიაც მხოლოდ ჩოხატაურის საბოქაულოში.

თამბაქოს პლანტაციები ყველაზე მეტი სოხუმის ოლქშია, (3,300 პლანტაცია, ზომით 3,045 დესიატინა); სოხუმისას მიჰყვება ართვინის ოლქი. ბათუმის ოლქში 1,100 პლანტაციაა. ბათუმის და ართვინის თამბაქო უმთავრესათ მიაქვთ თფილისში, ბაქოში, კერჩში და ოდესაში, სოხუმისა კი პეტერბურგში. ოზურგეთის მაზრაში და ბათუმის ოლქში თამბაქო მოჰყავთ მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებთ; ართვინის ოლქში თამბაქოს პლანტაციებში მუშაობენ თვითონ ართვინელები და ოს მალოდან მოსული მუშა მეთამბაქოები. ბათუმის ოლქის პლანტატორების რიცხვია 1240, ართვინის ოლქში პლანტაციებში მომუშავეთა რიცხვია

2500 სული, ამათში 1400 მამაკაცი და 1100 დედა-კაცი. ართვინის ოლქში ქირის მუშები მებატრონეებთან ერთათ ცხოვრობენ და მათი საქმელი უფრო ხშირათ უკეთესია, ვიდრე იმ ადგილობრივ მკვიდრთა, რომელთაც თამბაქო არ მოჰყავთ. სულ სხვა გარემოებაა სოხუმის ოლქში, აქ თამბაქო მოჰყავთ უმთავრესათ ოსმალელ სომხებსა და ბერძნებს; მხოლოდ ამ ბოლო დროს, როცა სიმინდის ფასმა დაიწია, აფხაზებმაც და მეგრელებმაც მოჰკიდეს ხელი ამ საქმეს. თამბაქოს თვისენ იჯარით აღებულ ადგილებში. პლანტაციებზე მომუშავეთა რიცხვი უდრის 9000-ს, ამათში 4000 პლანტატორები და მუშებია ადგილობრივ მცხოვრებთაგან; 3000 ოსმალელი სომხები, ბერძნები და ოსმალოები არიან და 2000 ყუბანის ოლქიდან მოსული მუშები.


თუ ბათუმისა და ართვინის ოლქების პლანტაციების სანიტარული მდგომარეობა, მუშების სასმელ-საქმელი და მესაკუთრეებისა და მუშების დამოკიდებულება რიგიანია, სოხუმის ოლქის შესახებ ამის თქმა შეუძლებელია: აქაურ მუშების სადგომები დაწნული ქოხებია, მუშებს ძინავთ პირდაპირ მიწაზე, აქვე ხდება მუშაობა, საქმლიც კუდი აქვთ მუშებს. გარდა ამისა, რადგანაც იქით მხარეს იაფი კრედიტი არ არის, თვით პლანტატორები და მათი მუშები ჩარჩების მსხვერპლები ხდებიან. ხშირათ პლანტატორი სრულებითაც ვერ აძლევს მუშას ქირას, რადგან იგი ჩარჩის ხელშია და მთელი მისი ქონება მას მიაქვს. („ცნ. ფურ.“)

ოდესიდან გვწერენ: აქაურ უნივერსიტეტის ფროფესორის ბ. მელიქიშვილის უკანასკნელი შრომა „О перекисяхъ“ მეცნიერების აკადემიამ დააჯილდოვა ლომონოსოვის სრული პრემიით და მიუსაჯა 1500 მ. და თვით შრომაც თავის ხარჯით დაბეჭდა. როგორც გავიგეთ, ეს თხზულება შესავალია იმ დიდი შრომისა, რომლის დაწერასაც ახლო მომავალში აპირებს ეს ნიჭიერი ქართველი. ოდესის გაზეთებმა თითქმის ერთ-ხმათ გამოთქვეს, რომ „ოდესას შეუძლია იამაყოს ასეთი პროფესორითა“.

„ჯეჯილის“ რედაქციას მოუვიდა აუარებელი თხოვნა სხვა-და-სხვა სკოლებიდან, რომ რედაქციამ მიაწოდოს „ჯეჯილი“ იმ ოცი თუმნის შემოწირულობიდან, რომელიც ნავთის მწარმოებელმა სტეფანე კონსტანტინესძე ზუბალოვმა გამოუგზავნა რედაქციას. შემდეგ სკოლებს ეგზავნებათ ორ ორი წლის „ჯეჯილი“: 1) ცაგერში, წითერის სამრევლო სკოლას; 2) ცაგერში იფარის სამრევლო სკოლას;

3) ბელაგორში სიბის სამრევლო სკოლას; 4) საჯავახოში დაფნარის სამრევლო სკოლას; 5) ლანჩხუთში ძიმითის სკოლას; 6) სამტრედიაში სალხინოს სკოლას; 7) ლანჩხუთში ლესსის სამრევლო სკოლას; 8) კახში ალიბეგლოს, 9) ყორაღის, 10) ქობულთას სამრევლო სკოლებს; 11) ჩოხატაურში ხევის ორ-კლასიან სამრევლო სკოლას; 12) ქუთაისში რიონის სამრევლო სკოლას; 13) ყვირილაში ღორემის სამრევლო სკოლას; 14) ჩოხატაურში ციხე-საყვავის და 15) ქილოვანის სამრევლო სკოლებს; 16) ქიათურაში პერევესის სამრევლო სკოლას; 17) თფილისში წმ. მარინეს სკოლას; 18) სოფ. სიმონეთის სკოლას; 19) სოფ. ბუგეულის სკოლას; 20) სოფ. აცანის სკოლას; 21) თიანეთში სოფ. მალაროს-კარის სკოლას; 22) თელავში აწყურის სკოლას; 23) ქ. ახალ-ქალაქში ქილდის სკოლას; 24) თიანეთში ბარისახოს სკოლას; 25) ციხე-საყვავის სამრევლო სკოლას.

ოზურგეთიდან გვწერენ: ქრისტეშობისთვის 3-ს ოზურგეთში მხდა გურიის ამხანაგობის „შუამავალის“ კრება. ეს კრება ხელ შეკრეთ იესო დანიშნული და ამიტომ რამდენიც უნდა დასწრებოდა წევრი — განიხილეთ ჩათვლებოდა. გაზოცხდა 15-დე წარმომადგენელი, რომლებმაც ბევრი ითათბირეს და ილაპარაკეს განხილვა-გამოხილვით და ჩემ-ჩემობით, რას შემდეგ კრებაზე განაცხადეს, იმაზე ლაპარაკი, რაზედაც კრება არის მოწვეული, ამ უმართ მოუხერხებელია და უადგლო, სოფო რა კი ამხანაგობას დიდი ხანია გამხრევი კომისიის წევრები არა ჭყავს, ამოვირჩიეთ ახალი სარევიზიო კომისია. ამოჩეულ იქმნენ: თ. კიკვაძე, სამსონ ვ. ვაშაყაძე და სიმონ გრიაზნოვი. ამ არჩევანს საზოგადოება დიდი სიხარულით მიეგება. ვნახეთ შემდეგი რას მოგვიტანს.



„კეალის“ კორესპონდენციები

ბათომა. ბათომმა აგერ მეორე თვეა ფერი იცვალა; საკმაო მეუღრეობის შემდეგ, ყველაფერი ირგვლივ ამოძრავდა. მოგესხებოდა, რომ ბათომის სულის ჩამდგმელი, უმეტეს ნაწილათ, ნავთის ქარხნებია, და იქ კი აზრიდან აქტომბრის შირველ რიცხვამდე სამარსებური სიჩუმე სუფევდა წარმოების მხრივ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რაღაც 1/4 მუშაობას. ამ გვარ ეოფაში იუვენ როგორც ქარხნებში, აგრეთვე მის ირგვლივაც; მხოლოდ მისი შემუშურე და მისგანვე ბევრ რისამეს მომლოდინე მუშები კი გულ-ხელ დაკრევილი უდრიდენ მორიგ მუშაობას, რომ სანახევროთ მაინც კუჭისთვის სანოვაგე მოეზოვებოდათ. ასე და ამ ნაირათ განულო მრავალმა დღე-კვირა თვეებმა, მარა

მუშა ხელის მოთხოვნილებამ თუ არ იყო არც უმეტესია. ამის მიზეზათ ზოგი „დიდ მუშტს“ სასყიდელად ღირს ზოგი კიდევ რას. ამ გვარ მდგომარეობაში უფიქრმა, მუშათა ერთმა ნაწილმა, სხვა ჯაგას მიმართა ბედის საცდელათ, ზოგმა კიდევ სოფლისკენ გაიწია, და აი აქ ამ დროს მუშაობა უცებ განაღდა, მუშაობა არა ჩვეულებრივი. მუშათა ხელის მოთხოვნილება აქტომბერში დიდათ გაიზარდა, რის ნაყოფიც შეიქნა დროებით ხელ-ფასის მომატება; მუშები ცოტა იუვენ, მათი მოთხოვნილება კი დიდი. დღის ქირამ აიწია. ეს ამბავი სწრაფათ მოედვა სოფლებს და აქ მოჩვენ თუ არა უანა-ბაღანს, მოაწყდენ ბათომს. ნოემბრის შუა რიცხვიდან მუშათა ხელი თან-და-თან მატულობს აქ, მხოლოდ მოთხოვნილება კი კლებულობს. ამ ნაირათ, ამ ორ-სამ თვეში საკვირველი ცვლილება განიცადა ბათომმა. ამ ერთი თვის წინეთ მუშებს ესგეწებოდენ, მადით, იმუშავეთო, ახლა კი მუშები იხვეწებიან, წაგვიყვანეთ, გვამუშავეთო!

ურყოფილი.

ბუგეულის საზოგადოება (რაჭის მხარა). არც ერთი კუთხე საქართველოსი ისე ჩამოჩენილი არ არის სწავლა განათლების მხრივ, როგორც რაჭა. ბუგეულის საზოგადოება შედგება ცხრა სოფლისაგან. ერთა შუა რიცხვით თითოეულ სოფელში ას-არმოდნა-ათი კომლი მცხოვრებია. ასეთი უზარმაზარ საზოგადოება დაკმაყოფილებულია მხოლოდ ორ კლასიანი სამინისტრო სასწავლებლით, მაშინ, როდესაც ზოგიერთი სოფლები გურიაში, არა თუ ორ-კლასიანი სასწავლებლით კმაყოფილდებიან, არამედ დამცირებულ მიანხათ, თუ ორი-სამი სასწავლებელი არა აქვთ. აქ, რასაკვირველია, თვითონ ხალხივეა დამნაშავე. ხალხმა, რომ ითხოვოს სასწავლებელი დაგვიანსეთო, განა მთავრობა უარს ეტყვის? მაგრამ ვინ იქნება ისეთი თავზე ხელ-ადებული, რომ ამის შესახებ კითხვა ადრძას? თუ ვინმემ კრინტი დასძრა სასწავლებლის დაარსების შესახებ, ის ან უნდა გამოესაღმოს ამ საზოგადოებას, ან და სოფელს არაფერი ხარჯი არ მოთხოვოს. იტყვიოთ, ნუ თუ ასეთ უზარმაზარ საზოგადოებაში ერთი ორი ინტელიგენტი მაინც არ არის, რომ ხალხს აუხსნას მნიშვნელობა სასწავლებლისა და ჩაგონოს, თუ როგორ აუცილებელი საჭიროებაა ამ დროში სწავლა? როგორ არა, ბატონო! ერთი და ორი კი არა, ოც, ოცდა-ათზედაც მეტია, მაგრამ რა? განა მართო ინტელიგენტის სახელის ტარება საკმარისი? იმათ რომ ჭკობით, ასე გიბასუხებენ: მე დღეს აქ ვარ და ხვალ ვინ იცის, რომელ ქალაქში გადამიყვანენ და რათ შევაძლოდ ხალხს ჩემი ღამნაკით თავიო! ასე რომ ჩვენი წინ სულა ეფვლად შეუძლებელი ხდება. მაგრამ, მაინც როგორც არის, მთავრობის ძალა-დატანებით, გვაქვს ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, რომელშიაც სულ სამოცი შეგირდო თუ სწავლობს და სასწავლებელს კი ას ორმოდნა-ათი შე-

გიქდის ალაგი აქვს, მიზეზი ამისა სოფლების სიშორე და გზების უვარგისობა გახლავთ.

ლოგონტი დავითილიანი.

ს. სურები (ოზურგეთის მაზრა). ს. სურები მდებარეობს დაბა ჩხატაურთან ადმოსავლეთით 10—12 ვერსტის მანძილზე და გაშენებულია მდინარე სუფსის იქით და აქეთ ნაპირებზე. შესდგება ორი სოფლისაგან: ქვემო და ზემო სურები. ქვემო სურებში მარტო ერთი გვარი რამიშიელი ცხოვრობენ. მცხოვრებნი 350-დე თუ ცოტა მეტი სახლობდნენ შედგება, რომელიც წოდებოდათ განიფოთების სამ ნაწილათ: სასულიერო წოდება, აზნაური და გლეხი. ეს სოფელი უმეტესათ წარმოადგენს ფერდობ ადგილს; ამის გამო მიწა თანდათან ირეცხება, დარბდება, მოსავალიც ძალიან კლებულობს და აჭარბი გლეხი, იძულებულია, თავის საოჯახო მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ, მიმართოს სხვა-და-სხვა მრეწველობას. აქ, გარდა მიწის მუშაობისა, მისდევენ მეღვინეობას, რომელსაც ამ ბოლო ხანებში თვალ-საზიხო შემოსავალი მოაქვს: ჯერ ერთი რომ თვით დვინოსა ჭეიდანს და მეორე დვინის ჭაჭისგან არაყსა ჭხდნან. თუთუნსაც არა ნაკლები შემოსავალი მოჰქონდა ამდენ ხანს, მაგრამ ნიადაგის გამოფიტების გამო, იმანაც ძალიან იკლო. შეაბრეშუმებამაც ძალიან მოვიდა ჩვენში ფეხი. იშვიათათ შეხვდებით ისეთ ოჯახს, რომ ერთი ათი მანეთის ზარკი მაინც არ გაეკეთებინოს. სწავლა-განათლების მხრივაც სხვა სოფლებს არ ჩამორჩება. რამდენიმე წლის წინეთ ეს სოფელი ისე წინ მიდიოდა, რომ სხვა სოფლებიც შენატროდნენ. ამ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში კი რაღაც შეფერხებასა ვხედავთ. წინეთ ეს სოფელი წარმოადგენდა ერთ უდაბურ მივარდნილ კუთხეს, რომელსა „დათვის ქვეყანას“ უწოდებდნენ. მათი სწავლული ის იყო ვინც კარგი თათის სროლა იცოდა და ბევრ ნადირს ხოცდა. მარტო ორი კაცი იყო ჩვენი სოფლიდან სასწავლებელში: ერთი იყო ბ-ნი ის. ი. და მეორე ნ. რ. რამიშიელი. ი. რამიშიელმა დაამთავრა თუ არა სასულიერო სემინარია, მაშინვე შეუდგა მეცადინეობას რომ სოფლის მდგომარეობა გაუმჯობესებინა. რამდენი შრომა და ენერჯია უნდა შეეწირა მას ამ სიბნელით მოცულ სოფლისათვის თავის მიზნის მისაღწევათ, მკითხველი უკვე მიხვდება. ზირკელათ მთინდობა დაეარსებია სკოლა ამ ორ სოფელ შუა და მით გაქდიერებია მათში კავშირი, მაგრამ ზემო სურებმა უარი განაცხადა. დად ვაი ვაკლასს შემდეგ დაარსდა სკოლა მარტო ქვემო სურებში. მთავრობა შეგვეწია 300 მან. ეს 300 მან. გაანსხვს სასარგებლოთ, რომელსაც დაერქვა „სასოფლო ფული“. სკოლის ასაშენებელი ფული მარტო სოფელმა გადაიხადა. სკოლაში თვითონ ის. რამი—ელი იყო მასწავლებლათ, სულ მცირეოდენ ჯამაგირზე. მეორე მოკვიტანა ამ კაცის ნაშრომმა რამე ნაყოფი? სწორეთ რომ

მოკვიტანა. დღეს მისი შვირდებოდა: მასწავლებლათ არიან 7; უნივერსიტეტში — 1; აფიცერი — 1; ტექნიკურ ფისტი — 1; სასწავლებლო სემინარიაში — 2; ავრონი — 1; ბუჯგალტერი — 1; მაშინისტის თანამემწე — 1; ტექნიკის სასწავლებელში 1; ფერმალი 3; საფერშლო სკოლაში — 1; სასულიერო სემინარიაში — 2; გიმნაზიაში — 2. ესენი მარტო მისი გვარის კაცებია. სხვა გვარისა ხომ კიდევ რამდენია. მას ჰქონდა აგრეთვე საღამოს მეცადინეობა, სადაც საზღვარდობას ასწავლიდა წერა-კითხვას. ასე რომ ჩვენში იშვიათია ისეთი საზღვარდობა რომელიც წერა-კითხვას არ იცოდეს. მისი მეცადინეობით უწინდელ „სასოფლო ფულს“ ემატებოდა საბაყოფული. ამ ფულებს ვღებულობდით ჩვენ მეთხე მეგრელებიდან, რომლებსაც ზამთრით სასოფლო ტუქში ჭყავდათ თხები. „სასოფლო ფულს“ ემატებოდა აგრეთვე სხვა-და-სხვა შემოწირულება; მათში საყურადღებოა აწ განსვენებულის ო. რამიშიელის შემოწირულება 200 მან. ამ ფულებმა ბოლოს 2500 მანეთამდე იმატა, მოაკლდა რამდენიმე სხვა-და-სხვა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ და 1891 წელს იყო 1933 მან. 65 კაპ. მაგრამ აქაც გამოჩნდნ ისეთი ზირები, რომლებიც წინა დღეებში ამ ზატოსან მოღვაწე და იძულებული გახადეს სენაკის სკოლის მასწავლებლათ გადასულიყო. დაგვრჩა ერთ-კლასიანი სასწავლებელი, 1933 მან. და 65 კაპ. რამიშიელის გადასვლის შემდეგ სკოლის საქმე სულ უკან და უკან წავიდა, ერთი შეკირდინ და რ გაკვირვანია სხვა სასწავლებელში სწავლის გასაგრძელებლათ. შეკირდების რიცხვი 12-ზე ჩამოვიდა. მაგრამ აქაც ისევ რამიშიელი გამოკვირნდა ნუგეშათ; მისი თაოსნობით ერთკლასიანი სასწავლებელი გადაკეთდა ორ-კლასიან სამინისტრო სკოლათ, რომელიც უეჭველია, დიდ ნაყოფს გამოიღებს. დაარსებულია აგრეთვე ჩვენში შემხსხველ გამსესხებელი კასნა, სადაც წევრები ასს (100) აღმატება. ბ-ნმა ნ. ს. რამიშიელმაც (მღვდელ-ბლადონინა) მიიღო აგრეთვე მონაწილეობა ამ კეთილ საქმეებში, მაგრამ ჩვენ მისი უფრო მადლიერი ვიქნებოდით, რომ მოენდომებია, როგორც მღვდელ-ბლადონინს და ქვემო სურების შუა ალაგას ეკკლესია აშენებია, და მით შენახულიყო ჩვენში უწინდელი ძიობა და ერთობა. დღეს ქვემო სურები სამ ნაწილათ დაყოფილა და თითო ნაწილი თითო ეკკლესიას იშეხებს.

ორივე სიტუვას სამკითხველს შესახებ. ამოღენა საზოგადოებაში არსად სამკითხველო არ მოიხვევება. მართალი რომ ვთქვათ არც ჩვენი ინტელიგენტები იწუხებენ თავს ამ კეთილ საქმისთვის. ხშირათ ხდება ისეთი შემთხვევები, რომ ემაწვილა სოფელში სწავლის დამთავრების შემდეგ სიღარბის გამო სწავლას ვერ აგრძელებს. და რადგან საკითხავ წიგნებს ვერსად მოულობს ის თან-და-თან იფიქრებს სოფელში შეძენილ სწავლას და ბოლოს ხელის მოწერასაც ძლივს ახერხებს. ბ-ნ ან. თათის მასწავლებლობის დროს დაარსდა ჩვენში ზატარა სამკი-



ჩვენი სახიობა.

თხველთ, რომელიც შეიცავდა სამდენსამე წიგნებს. ხალხიც სიხარულით შეეგება, მაგრამ თოძის წასვლის შემდეგ ის წიგნები სადღაც გაიფანტა და ნატარა სამკითხველთა ცაუქმდა. სასურველია რომ ამ წიგნებს მოუყრიდეს თავს ჩვენი სოფლის მასწავლებელი და აგრეთვე ითავებდეს სამკითხველს დაასკუბოს ჩვენში, რადგანაც ახლა აქ მკითხველი უკვე მოიხრება. ჩვენი სოფლის ერთადერთი მიზეზი ეკონომიური და მატერიალური დაქვეითებისა არის უცხოობა. რამდენი „რჩები“ დახარჯულა და რამდენჯერ დაწერილა ამის შესახებ გაცეთებშია, მაგრამ მაინც არაფერი გამოვიდა. იმედია ამის მთავრობაც უურს ათხვეებს.

ონიუ—შვილი.

ს. ბაღდადი (ქუთაისის მახრ). აქაური ერთგვარსიანი სასწავლებელი (1877 დაარსებული) მხოლოდ დღეს გაგვიორკლასიანდა. შენობა ჯერ არ გვაქვს. როგორც ვხედავ დაიგვიანებს, მარა მომავალს მაინც მოესწრობა. წელს მარამობისთვის გაწერილ იქნა საზოგადოებაზე 149 და 40 კაპეიკი, რომლითაც მამასხლისის სკოლის აგეჯი უნდა გაეკეთებინა; აგერ რაი თვე გავიდა და 29 ბავშვის სკამების მეტი არაფერი გვიხარავს. იმედია უკვალა ამის უურადლებას მიაქცევს ვისიც ჯერ არს. მარა ამ „იმედის“ ღოდინში არ ვიცი რა დაგვემართება! ჩვენ წიგნთ-საცავ-სამკითხველთა ცაუქმს, რომლის წლიური ანგარიში გაუგებლათ აღნიშნა „ივერიის“ მე 218 №-ში ბ. ვ. ა. ბურჯანაძემ. ძლიერ მიგვიჩნს რამ აიძულა ბატონი ავტორი, რომ ასეთი „ანგარიში“ დაუწერია?—ჩვენი სამკითხველთა ჯეროვანათ ემსახურება თავის ჯეროვან დანიშნულებას და ერთ-ერთ „ივერიის“ კორესპონდენტს ესაუბრებოდა ცუდი მხრით დაუხსნაო ჩვენი ნორჩი სამკითხველთა საზოგადოებასო; ჩვენც გვესიამოვნება სამკითხველთა მდიდრულათ გვეჩნდეს მართლად, მარა ამას უნდა ფული და ფული, რომელსაც ჩვენ კაპეიკობით ვაგროვებთ! საიდან ჩანს რომ აგროვებთ, რა დასმარებას უჩენთ? ნებათავა აიღეთ და ის იყო. სამკითხველთა არა ჭეჯის არც გამტე, არც შეთვალურე, არა აქვს შემოსავალ გასვლის წიგნი და არც საქმე წიგნი, (ПРОТОКОЛЬНАЯ КНИГА) რაშია კრების გადაწყვეტილება იწერება. დამარსებული წევრი არის და იყო არა 26 არამედ ბევრით ნაკლები. საწევრო ფული სრულიად არ შემოსულა, რაიცა ჩანს იმ ნაკლები ქალაქიდან, რომელსაც „СПИСОКЪ ЧЛЕНОВЪ“ აწერია, და რომელსაც ე. ს. გვანცელაძე საიდუმლოთ იხსნავს. ბ. ვ. ბურჯანაძე ამბობს 26 წევრი იყო, საწევრო გადასახადი შემოვიდა 120 მ. და 60 კაპეიკიო. ერთი რომ სრულიად არ შემოსულა, მეორე კიდევ რამ შემოსულიყო 3×26 განა 120 არის? საკვირველ არს, ბაღდადი, საქმენი შენნი.

მითაი—შვილი.

ესეც ერთი იდეური პიესა! ხუთშაბათს ბ. გედევანოვის საბენეფისოთ წარმოდგენილი „ბრჭყალე-ბი“ სწორეთ იდეებით გატენილი დრამაა. ამ იდეას შეიძლება მოკლეთ დაერქვას ქალის ბრძოლა უფლებისათვის, რომლის შინაარსს ჩვენ უკვე ქუთათურმა თანამშრომელმა გაგვაცნო (იხ. „კვალი“ № 44) და მამასადამე მის აქ განმეორებას აღარ შევეუდგებით. მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ავტორს ეს ბრძოლა სავსებით დაეხატოს. ერთი მხრით გამოყვანილია მეტის-მეტათ სუსტი, უღონო ქალი ირინე (ნ. ჩხეიძე), რომელიც აპყლია მხოლოდ თავისი გულის-თქმას, მაგრამ ეს ვერაფრით ვერ დაუსაბუთებია, მეორე მხრით ძლიერი თვით-მოქმედი ქმარი, ფერგანი (მესხიშვილი), რომელიც თითოეულ თავის სიტყვას ასაბუთებს და მით მაყურებელს არწმუნებს. ირინეს შეიბრალებ, ხოლო ფერგანს კი გაამართლებ და განა ეს იყო ავტორის მიზანი? სრულათაც არა. ავტორს სურდა დაჩაგრული ირინე სამართლიან მებრძოლათ გამოეყანა და მაყურებელი მისკენ გადაეყვანა. და აი, ამას ვერ აღწევს ის. ირინეს ათი წლის ცოლობის შემდეგ აღარ მოსწონს ქმარი. ეს რასაკვირველია შეიძლება, და მერე რატომ არ მოსწონს? ამას ასე ხსნის ირინე: დეე ჩემი ქმარი ნუ იქნება მდიდარი, ნუ იქნება გამოჩენილი კაცი, მაგრამ მას უნდა ჰქონდეს გული, მიწინამძღვროს მე და აღამიანათ მაქციოსო. ესე იგი მისი იდეალია გრძნობა და გონებით მაღალი აღამიანი. და აი, ფერგანი ათი წლის შემდეგ ვერც ერთ იმას ვერ ჰპოებს. ამას ჰპოებს სწავლულ მიხეილ დავერნიეში (სვიმონიძე) და სურს ფერგანს გაეყაროს და მას გაჰყვეს. ფერგანი რისხდება, ეს იქნება საზოგადო წეს-წყობილების და კანონების შელახვაო—ამბობს ის. ირინე უნდა შეებრძოლოს ამ წყობილებას, მაგრამ ის ამისათვის მეტის-მეტი უღონოა და ისევე ქმრის მრისხანებას გზას აძლევს. ირინეს ერთხელაც არ მოუვა თავში დაანებოს თავი ამ თავის მტანჯველს, წავიდეს თავისთვის, გაიქცეს, გაიპაროს. არა ეს მას არ ძალუძს, იმეტომ რომ ისიც ისე მორჩილია „საზოგადო წეს-წყობილების“, როგორც ფერგანი, იმ განსხვავებით რომ ფერგანი უფრო ლოდიკურათ მოქმედებს, ხოლო ირინე კი ვერა. ამას კიდევაც უნდა გაარღვიოს ეს ბრჭყალეები და კიდევაც ვერა; ის რომ დენიზასავით შრომაში აღზრდილი იყოს, ის რომ უბრალო შრომის შეილი იყოს, თვით-მოქმედება და თავის თავზე დანდობა ჰქონდეს, მაშინ ბრჭყალეების გარღვევას აღვილათ შე-

იძლებდა, წავიდოდა შორს და თავის შრომით იცხოვრებდა. ირინეს კი არც ერთი ეს თვისება არ ახლავს, ის ფუფუნებაში აღზრდილი, შეძლებული ჩამომავლობის, ჯაფას მიუჩვეველია და აბარახსიათი უნდა ჰქონდეს ასეთ არსებას თუ არა უბრალო გულისთქმა. დენიზა მაგ. თქვენ გზიბლავთ, მასში ზედავთ ადამიანს, კაცს და მზათ ხართ დიდი შეცდომათ აპატივით. ირინეს ვერც კი წარმოუდგენია თავის თავათ ცხოვრება. ის ყოველივეს მოსიყვარულე ქმრისაგან გამოეღის. ერთი სიტყვით, ირინე ბურჟუაზიის უსაქმური და უსაქმურობით დაჯაბნებული შვილია და მას არასოდეს არ შეეძლება მისივე კლასის და წრის ბრჭყალები გაარღვიოს. ამას კიდევაც ამბობს დევერნიე, ეს ჩვენი წრის ხალხს სჭირს ყველაზე უფროვო. რასაკვირველია, ასეთ ძალათ ცოლქმრობას თან მოსდევს ღალატი და მრავალ-ცოლობა თუ მრავალ-ქმრობა. პატროსანი ირინეც ძალა უნებურათ ამ გზას ადგება და ამით შურს იძიებს ფერგანზე. ასეთია თანამედროვე ბურჟუაზიული ქორწინება და მისი მოსპობა თვით ბურჟუაზიის მოპობას ნიშნავს, რასაც უეჭველია ირინე არ დასთანხმდება... მესამე მოქმედებაში ავტორს ირინე მეტათ უსამართლო მდგომარეობაში ჩაუყენებია, ეს ჩაფრენია თავის ვაჟს და არას გზით არ თანხმდება მის სკოლაში მიცემას და წესისამებრ აღზრდას. აქ პირდაპირ ამტყუნებ ირინეს და ამართლებ ფერგანს, საზოგადოების სიმპატია ერთიანათ ფერგანისაკენ გადადის, რაიცა ავტორის დიდი შეცდომაა; ეს მას დასჭირვებია იმისათვის, რომ ბოლოს ირინეს ფერგანისათვის ათქმევიწიოს: რას ერჩი ამ ბავშვს, ეს შენი შვილი არ არისო! მაგრამ განა ეს არ შეეძლო გამოეყვანა, ისე რომ ირინე უსამართლო მდგომარეობაში არ ჩაეყენებია?

საზოგადო, არც ერთ პიესას ისე არ აუყვანებია დამსწრე საზოგადოება, როგორც „ბრჭყალებმა“. თითქმის უმრავლესობა ფერგანისაკენ იყო და ირინეს სულის კვეთება არ ესმოდა, რაიცა, როგორც ზევით ვთქვით, ავტორის ბრალიც არის. ამის მეორე მიზეზია თვით თამაში. მესხი შვილმა სრულიად ჩაჩრდილა თავისი მოპირდაპირე ჩხვიძის ქალი, მათი შეტაკება იყო შეტაკება ძლიერი და სუსტი არტისტის და რაღა გასაკვირველია მაყურებელზე მეტი შთაბეჭდილება მოეხდინა პირველს. ქალ. ჩხვიძე მეტათ ნაზი ქმნილებაა და მას მებრძოლის როლი არ შეჰფერის. ჩვენ მას მეორეთ ვხედავთ სცენაზე და უნდა ვთქვათ დიდი ნაბიჯი გადაუდგამს წინ. და თუ ასე სწრაფათ განვითარდა, ძალიან ადრე შესამჩნევი არტისტი დადგება. ხმა, მიმოხვრა სცენაური გამოხედულობა — ყველაფერი ამბობს ეს არტისტი. არ შევინის მხოლოთ სახის გადა-

ქარბებული მიგრეს მოგრება, ვითომ ეს სულიერი მდგომარეობის გამოსახატავთ; შეხედოს ბ. მესხი შვილს და დარწმუნდება რომ ასეთი ზომები საჭირო არის სულიერი მდგომარეობის საჩვენებლათ...

ბოლოს ითამაშეს კომედია „დავით რაბინი“ (ნათარგმნი), რომელშიაც თვით მობენეფისე იღებდა მონაწილეობას. ეს კომედია ერთი გაჭიანურებული ამბავია იმ აზრზე აგებული, რომ ყველამ უთუოთ ცოლი უნდა შეირთოთო და თვით უჯიუტესი ცოლქმრობის წინააღმდეგეც კი ბოლოს ცოლს ირთავს. ეს უბრალო ამბავი სამ უშველებელ მოქმედებაშია გაჭიმული. ამაზე უფრო მოსაწყენი პიესა ჩემს დღეში არ მინახავს, თუმცა ბ. გედევანიშვილი და შათირიშვილის წყალობით ცოტაოდენი სიცოცხლე დაეტყო. შინაარსის გადმოცემა არა ღირს და სიმართლე გითხრათ, შინაარსი არც კი აქვს, თუ რაბინის „რეჩებს“ — დაცოლ-შვილდით და გამრავლდითო — სახეში არ მივიღებთ.

ხალხი ბევრი დაესწრო და მობენეფისეს საჩუქრები მიართვეს.

ბოლიტიკური მიმოხილვა

ბურკების ბოძრებაში ისევ მიიზურა ქვეყნის უურადდება. რაკი ისინი თავის ქვეყანაში ინგლისის წინააღმდეგე რას გზედენ, ხლავთ თვით ინგლისის სამფლობელოს შეესიენ და ასე ამის ველი სხვა ალაგას გადაიტანეს. ეს ალაგას კანის ახალშენი. აქ მტნაგრებთა უმრავლესობას ჰქალანდელები (ბურკების წინაზანი) შეადგენენ და ბურკებს აშკრათ თუ მალუათ მხარს უჭერენ. იმათ ამ რი კვირის წინეთ გამართეს კანგრესი და ბურკების სსარგებლად წინადადებები მიიღეს. ბურკებმა იფიქრეს, რადგანაც ევროპაში ადაწავინ გვიტერს მხარს, ისევე კანში შევალთ და იქურ ჰქალანდელთ მფიომხრობათ. და ეს მოსაზრება უკვე მართლდება. ბურთა რაზმები კანში გადმოვიდა და რამდექნიმე ალაგას გამოიწვიეს აჯანყება. ჰქალანდელთა (წოდებული აფრიკანდერებთ) რამდენიმე რაზმი შედგა და შეურთდა ბურკების რაზმებს. შეურე მხრით, ინგლისის მთავარ-სარდალი, კინგერი, ჯარებს თავს უურის კანის ახალ-შენის დასაცველათ და იქიდან ბურკების გასარკვათ. რაც შეეხება კრიუკერს — ის ჯერ კიდევ ჰქალანდაშია და აწავინ უწვის რას ფიქრობს ან რა ხყოფი გამოიღო მისმა მოგზაურბამ. ეს კია, რომ ინგლის-ტრანსვალის კითხვა ახლავთ უმწვეგრავლეს ხარისხამდეა მისული და ადრე იქნება თუ გვიან უნდა დაბოლოდეს. თუ ვერაფერი გააწეს ბურკებმა კანში და კრიუკერმა ევროპაში — ცხადია ტრანსვალს უოველი იმედი მთავრეუთება და იძულებული გასდება ინგლისის დამორჩილდეს. — ჩინეთის საქმეები ისევე



დაუწყოებოდა. შემდეგ ამდენი ხნის თათბირის და მოლა-
 ზარაკების ელჩებმა; როგორც იყო შემუშავეს საერთო ნოტა
 და ჩინეთის მთავრობას გადასცეს. აი ნოტას რამდენიმე მუხ-
 ლი: 1) იარაღის და ხმხედრო მასაღის შეტანა ჩინეთში და
 იარაღის შეკეთება ადიკრადება; 2) უნდა შესაფერი საზღა-
 ური გადაუხადოს ჩინეთმა სახელმწიფოებს, საზოგადოებებს
 და კერძო კაცებს, აგრეთვე იმ ჩინელებს, რომელთაც უსა-
 მართლათ მოექცნენ მხოლად იმისთვის, რომ ისინი უც-
 ხოელებთან მსახურობდნენ. 3) საელჩოებთან უნდა იმოყ-
 თებოდეს მუდმივი სადარჯჯო რაზმები და საელჩოების უბა-
 ნი უნდა გამაგრებულ იქნას; 4) სიმაგრეები ტაკუში და
 ჰეიინსა და ზდვის შუა დანგრეულ უნდა იქმნეს; უცხო-
 ელმა ჯარმა უნდა დაიჭიროს საჭირო ადგილები ჰეიინსა
 და ზდვის შუა მიმოსვლის უზრუნველ საყოფიერათ; 5)
 მთელ იმპერიაში ორი წლის განმავლობაში უნდა გააკრან
 ზრკლამაციები, რომლებშიც უნდა ვამოცხადდეს, რომ
 ყველა, ვინც გაბედავს და მონაწილეობას მიიღებს უცხო-
 ელების წინააღმდეგ მოძრაობაში, სიკვდილით დაისჯება. 6)
 ჩინეთი უნდა შეუდგეს სავაჭრო ხელ შეკრულებათა გადაშინჯ-
 ვას სავაჭრო ურთი-ერთობის გასაადვილებლათ; 7) უცხოელ
 ელჩთა მისაღებათ ცუნგლი-იამენი შეცვლილ უნდა იქმნას
 სახელმწიფოთა მთხოვნის თანხმად და სხ.



* *



დამეთა შორის ვერ მხედველი თანა-
 გრძობისა,
 მიტოვებული ყველასკან, ოღლათ შთე-
 ნილი,
 ყოველ-მხრით მსმენი ერთმანეთის
 კიცხვა-გმობისა,
 დვიდ-ძმათა შორის უნდობლობით
 ცრემლ-დადენილი —

კაველ, გაუმორღი კაცთ სამყოფელ არე-მარესა;
 ღამე დგებოდა; ზეტა მდელას ნამს ასხურებდა;
 მთისა გადაღმა ამოყო თავი მთვარესა
 და, გაბარული, ცით ქვეყანას გადმოჰყურებდა.
 ჰქროდა ნიაფი სსამური, მაგრადობელი
 და გაფურჩქნელი ვარდს ის ხმა-ტკბილათ ჩასხურხულებდა...
 თითქო „ნანინას“ უმდერისა ზაწას მშობელი,
 ის ტკბილი მდერა იმ ნაზ ყვავილს ასუღადგმულებდა.
 და მეც სწორეთ აქ, აქ მოვარყედი გადმოხვეწილი,
 შევევრდებოდი საუკუნთა მსურდა ბუნებას,
 აქ დამელია მე სიცოცხლის ნაშთენი წილი
 და არ იქ, სადაც მარად ვჭვრეტდი დაღატ-ცდუნებას!

სად კენესა ისმის, ქოთვა-გმინვა გულ-შემაზარი, ეპროფენული
 მდურვა ბედისა, კვლავაც მდურვა თითონ განკების...
 და იქვე კი, კედელს იქით, გააქვს ზანზარი
 სიმდერის ხმას გრძობა დახშულ ამხანაგების!...

ვიდექ და კრძალვით შევეურებდი ციაცს მდუმარე,
 ვეძიებდი რა განსვენების ხავთ-საყოფად,
 და იქ სიცოცხლეს, სადაც მდერას მოეცვა არე,
 მე აქ ვინჩევიდი თვით სამარის შავ-ბნელ სუდასსა!

და შევბას ვგრძობდი... ვარე მდგომი განმარტობით,
 ვჭვრეტდი რა ციაცს მოეფარეს, სხივ-მცემციმეს,
 სად ვერ ვხედავდი ადამის შვილს, გარემოებით
 დასაზვარებულს, დონე-მიხდილს, სუსტსა, ტვირთ-მძიმეს.


მაგრამ უცრათ, თითქო რისხვით, შეიჭმუნება ცა,
 მის დასავალში სარტყლათ ეფვამ გაიზრიალა
 და თითქო ბორბოტ სულს დევნიდა ძალა რადაცა,
 მთლათ ჩამობნელდა, დაიჭქა, დაიგრილა!...

და მასთან რისხვით შემომესმა ხმა-იღუმალი:
 „შორს, შორს აქედან! ნუ დასცარავ კაცის მხნეობას
 და რაც თან გაქვხდეს ბუნებრივი დონე და ძალი,
 მსხვერპლათ შესწირე შენივ მოძმის კეთილ-დღეობას!..“

კვლავ იქ, იქითკენ, საიდანაც გამოქცეულხარ!
 მას შეუერთდი, რამაც სოფლათ დაგაფრთხა ასე!..
 რადგან კაცი ხარ, თუ მთლათ ეინვათ არა ქცეულხარ,
 გაიზიარე ძმის ფიალა სიმწარათ სავსე!..

ზიჩი ვიბრუნე... კვლავ მივმართე კაცთ სამყოფ არეს
 და შევეურთდი, რასაც ასე ვუფრთხოდი დღემდის...
 და... ნუ! კვლავ გმინვა, წვევლა-კრულვა მესმის მწუნარეს!..
 კვლავ სიძულვილი კაცთა შორის!.. დმერთო! როდემდის!..
 დ. თომაშვილი.

ხ ს ო ვ ნ ა



ქარი ნაბიჯით მიდის ქალაქის
 ერთ კარგა განიერ ქუჩაზე
 შუბლზე ქულ ჩამოწეული, პალ-
 ტოს საყელო აწეული 28--29
 წლის ყმაწვილი კაცი, ქალა-
 ღებით გატენილ პორტფელით
 ხელში; საშინლათ ცივა; თებერვლის სასტიკი ქა-
 რი გროვ-გროვათ იღებს ქუჩიდან თოვლს, ერთ
 ხანს ჰაერში ატრიალებს და მერე პირ-და-პირ სა-
 ხეში აყრის გამვლელ-გამომვლელებს: მათაც ეს
 ფხვიერი თოვლი ნემსებსავით ერჭობათ სახის კან-
 ში და გულმოსული წამოძახებით: „დასწყევლოს

დმერთმა, ზამთარი თავდება, ქარიშხლები კი, მგონი ახლა აპირებს დაწყებასო.—ისინი კიდევ უფრო აჩქარებული ნაბიჯით განაგრძობენ თავის გზას. ყმაწვილი კაციც კულ გუნებაზე დააყენა ამ ავდარმა; თავისი სახლის შესავალ კარებთან ზარის ჩამოკვრაზედაც ცხადათ დაეტყო მას უგუნებობა.

— ქალბატონი სახლშია?— ჰკითხა მან გოგოს, რომელმაც პალტო ჩამოართვა, მაგრამ პასუხს არც კი მოუცადა, ხელ ბის ფშვნეტით საჩქაროთ შევიდა თავის კაბინეტში და მწვანე მაუდ-გადაკრულ საწერ მაგიდაზე პორტფელი დადვა.

— აბა, სადილი მალე გვექნება?— მიადგა ის ცოლის ოთახის კარებს, სადაც ახალგაზდა ქალი ფანჯარას მიჯდომოდა და გატაცებით რაღაც წიგნს კითხულობდა.

— მოხვედი კიდევ? რომელი საათია?— იკითხა ლიზიკომ, წამოდგა და ქმარს მიუახლოვდა; მას უნდოდა მოხვეოდა და ასე სიყვარულით მისალმებოდა, მაგრამ მისი მოქმუნული წარბები რომ დაინახა, უსიამოვნოთ წამოთქმული:— მეოთხე კიდევ დაიწყო!— რომ გაიგონა— გატრიალდა და სასადილო ოთახში გავიდა.

— კატო, რა არის რომ აქამდის სტოლი არ გაგიშლია?— მოისმა ცოტა ხანს იქით მისი გულმოსული ხმა.

კატო, რომელიც ამ წამს სამზარეულოში დიდ მუსაიფში იყო გართული, ზანტათ შემოვიდა ოთახში, ბუფეტი გამოაღო და სტოლს ლაგება დაუწყო.

— ნეტავი ერთი დღე მახსოვდეს, რომ დროზე სადილი მეჭამოს!— ბუზღუნობდა განგებ ხმა მალლა კაბინეტში წინ და უკან მოსიარულე პლატონი.

ლიზიკო არაფერს ამბობდა, მხოლოდ გოგოს სტოლის გაშლას ეხმარებოდა და მის ხელში კოვზების და სტაქნების რიჩხინი ცხადათ ამტკიცებდა, რომ ისიც თანდათან უარეს გუნებაზე ღებოდა. ნახევარ საათს იქით ცოლ-ქმარი ერთმანეთის პირდაპირ იჯდნენ სასადილო ოთახში.

— ეს... სუპია?— დაცინვის კილოთი იკითხა პლატონმა, რომელიც კოვზით იღებდა და ისევ საინში ასხავდა მართლაც ნამეტან თხელ სუპს.

— არა, შემწვარი ინდოური!— იმგვარივე კილოთი მიუგო ლიზიკომ.

— ჰოო!— მხოლოდ ეს თქვა პლატონმა და სუპს ჭამა დაუწყო, მაგრამ მალე უსიამოვნოთ იქით გადადგა საინი. ლიზიკოსაც არ უნდოდა სუპი, მაგრამ განგებ ძალიან გულმოდგინეთ ჭამდა, რომ ქმრისთვის ეჩვენებინა, შენ გლახა გუნებაზე ხარ, თუ არა სუპი მშვენიერია და მე ძალიან მომწონსო.

— კიდევ გვაქვს რამე თუ გააფდა ჩვენი სასუნი დილი?— იკითხა ცოტა ხანს იქით პლატონმა, რომელსაც მოწყინდა პურის ნამცეცების დაგორგალება.

— კატო, მეორე თავი მოიტანე!— მიუბრუნდა ლიზიკო გოგოს და დაცლილი საინი იქით გადადგა.

გოგომ შემწვარი ხორცი შემოიტანა. პლატონმა ერთი ნაჭერი გადმოიღო და იმასაც უსიამოვნოთ დაუწყო კირკნა დანა-ჩანგლით.

— ეს კი მგონი ძველი წალის ძირი უნდა იყოს!— ბოლოს ისევ ვეღარ მოითმინა და წაილაპარაკა მან.

ლიზიკომ დამწვიდებით გადმოიღო თავისთვის ერთი პატარა ნაჭერი და მასაც ძალიან გემრიელათ შეექცა.

— სწორეთ კიდევ კარგათა ვარ! სხვა ჩემ ადგილს აქამდის შემშილით უნდა მომკვდარიყო!— უსიამოვნოთ წამოიძახა პლატონმა, საჩქაროთ დაათავა თავისი კერძი, დიდი ხმაურობით დასწია სკამი უკან, წამოდგა და ჩქარი ნაბიჯით, ლიზიკოს შეუტედავით, წავიდა თავის კაბინეტისაკენ; იქ დივანზე მიეგდო და დიდ ხანს იწვა ისე, უფიქრელათ, ორივე ხელები თავქვეშ ამოედვა, ფეხები ერთი მეორეზე გადაედვა, თვალები ერთ წერტილისათვის მიეპყრო. ოთახში თანდათან ბნელდებოდა, მაგრამ კატომ იცოდა, რა კულ გუნებაზე იყო დღეს ბატონი და ლამპის შემოტანას ვერ ბედავდა.

ნუ თუ ოთხი, მხოლოდ ოთხი წელიწადია მას აქეთ, რაც პლატონს ყოველი ლიზიკოს შემოხედვა უზომო ბერნიერებას აგრძნობინებდა? ნუ თუ ოთხი წელიწადია იმ დღეს აქეთ, რაც... და პლატონს ცხადათ წარმოუდგა თვალწინ ის დღე, როდესაც ის, ოცდა ხუთი წლის უნივერსიტეტში ახლა კურს დამთავრებული ყმაწვილი კაცი და ლიზიკო, გიმნაზიის მეშვიდე კლასიდან გამოსული თვრამეტი წლის ახალგაზდა ქალი, რომლის მიმზადველ მხიარულ სახეს ისე მშვენიერათ ეხამებოდა მოკლეთ შეჭრილი წაბლის ფერი ხუჭუჭი თმა, — მდიდრათ შემოსილ ღვდლის წინ იდგნენ და ერთმანეთს საუკუნო სიყვარულის პირობას აძლევდნენ. ყველაფერი მათ ბედნიერ სიცოცხლეს უქადიდა; რა მშვენიერი დარი იყო! მზე უხვათ გზავნიდა ახლათ ამწვანებულ და საგაზაფხულოთ მორთულ დედამიწისაკენ ბრწყინვალე, მხიარულ სხივებს; თვით ნათელი და კობწია ეკკლესიაც თითქო იღიმებოდა: გრილი სიო შემოჰქიქინებდა დაფეილო კარებში და ხანდახან ლიზიკოს ლეჩაქს ააფრიალებდა ხოლმე: რა სიამოვნებას იგრძნობდა ხოლმე პლატონი, როცა ლეჩაქის ერთი ყური მის ლოყას ნაზათ მოუცატუნებდა! ყველა იქ დამსწრეების



სახეებზე და ცოთიქო ბედნიერება და კმაყოფილება იხატებოდა; რა ბედნიერი დღე იყო! ორი ახალგაზდა, ლამაზი, ერთი მეორის მოსიყვარულე არსება ერთმანეთს უერთდებოდნენ, რომ ამ დღიდან დაწყებული ერთათ ეცხოვრათ, ეცხოვრათ ბედნიერათ... ბედნიერათ!.. მას აქეთ ოთხმა წელიწადმა ძლივს გაიარა—და სად არის ბერნიერება, რომელსაც მაშინ უქალდა ახალგაზდა ცოლ-ქმარს ყველა დამსწრეების მხიარული სახეები, ახლათ ამწვანებული დედა-მიწა, ნათელი მზე, გრილი სიო, მთელი ის მშვენიერი, ის მომხიბლავი გაზაფხულის დილა? ახლა დღე არ გავა ისე, რომ რამე წვრილმან, უმნიშვნელსაგანს მათ ჩხუბი, ლაპარაკი არ მოუვიდესთ. მართალია, ჩხუბი დიდ ხანს არ გრძელდება ხოლმე, ხშირათ ნახევარ საათს იქითაც შერიგდებიან, მაგრამ მაინც, მაინც... სიყვარული, ის სიყვარული, რომელიც მაშინ მათ აფრთოვანებდა, რომელიც მაშინ მათ თვალში მთელ დედა-მიწას, მთელ ცხოვრებას ჰაეროვან, მხიარულ ლეჩაქში ახვევდა, აღარ არის, გაქრა, წავიდა... სად? როდის? პლატონს არ ახსოვდა, არ იცოდა როდის დაიწყა პირველათ ყველა ეს; მაგრამ... ან კი როგორ შეიძლებოდა ეს ასე არ მომხდარიყო? როგორ შეიძლებოდა ის აღტაცებული სიყვარული დარჩენილიყო ორ ადამიანს შორის, რომლებიც წლიდან წლობამდე ყოველ დილას, ყოველ საღამოს, მთელი დღეებით სულ ერთათ იყვნენ, სულ ერთმანეთს ხედავდნენ, ერთმანეთს აკვირდებოდნენ? როგორ შეიძლებოდა დარჩენილიყო ის აღტაცებული სიყვარული ორ ადამიანს შორის, რომლებიც ერთმანეთს ყოველ მდგომარეობაში ხედავდნენ, ხედავდნენ გაჯავრებულებს, ხედავდნენ გულმუსულობისაგან დაუშნოვებულებს, ხედავდნენ დილაობით პირდაუბანელს და თავდაუბარცხნელს, ძილისაგან თვალეხ დასივებულებს, ხედავდნენ საშინაოთ უშნოთ, ულაზათოთ ჩაცმულებს... არა! ვინ იფიქრებდა, ვინ წარმოიდგენდა მაშინ, იმ მშვენიერ გაზაფხულის დილას, რომ უგემურათ გაკეთებული სადილის გულისათვის პლატონი ლიზიკოს, იმ მხიარულ, ცქრილად, მოკლე ხუჭუჭ თმიან, ჰაეროვან ლეჩაქში გამოხვეულ ლიზიკოს, ჩხუბს დაუწყებდა, გაებუტებოდა? და პლატონს მწარე ღიმილი შეეპარა ტუფებზე; ნუ თუ ყველაფერი ასე იცვლება, ნუ თუ სამუდამო თუ არა, ხანგრძლივი სიყვარული მაინც არ არის ქვეყანაზე?

ოთახში მთლათ ჩამობნელდა, მაგრამ პლატონი არც ახლა იძროდა, ახლაც ისევ ისე თავქვეშ ჰქონდა ამოდებული ორივე ხელი, ისევ ისე გადაედვა ერთი ფეხი მეორეზე, ისევ ისე ერთი წერტილისათვის მიეპყრო თავისი დიდი, მუქი თვალები.

და უცებ... თითონ პლატონმაც არ იცოდა, ეს ძილი და სიზმარი იყო, თუ მარტო მოგონება,

თუ ოცნებით ცხოვრების გზაზე უკან დაბრუნება, ოღონდ უცებ მას თვალ წინ ცხადათ დაეხატა ის ზაფხული, ის მშვენიერი, დაუვიწყარი ზაფხული, რომელიც ამ 8—9 წლის წინეთ გაატარა, ის ზაფხული, რომელიც მოგონებაში მას ყოველთვის რაღაც მომხიბლავი, ვერცხლის ფერი ნაზი შუქით განათებული, გაცისკროვნებული ეჩვენებოდა, ის ზაფხული, რომელიც მასთან, ნაზ, ჰაეროვან თეკლასთან ერთათ გაატარა; აი, ახლა ისევ ის ზაფხულია, ისევ იმ ზაფხულს ცხოვრობს პლატონი, ეს უკანასკნელი 8—9 წელიწადი აღარ არსებობს, სადღაც წავიდა, სადღაც გაქრა... აი, თეკლაც, თავისი ფერმკრთალი, მიაუსტებული სახით, დიდი, მუქი ლურჯი, ავთამყოფობისაგან თითქო ჩავარდნილი, მაგრამ მაინც ნაზათ მოეღვარე თვალებით, წაბლის ფერი თმით, რომელიც მაღალ, ცოტა ვიწრო შუბლზე ჩამოჰფუშვია. თეკლა! თეკლა!—და პლატონის გული ნაზი თანაგრძობით, უზომო სიყვარულით და მწვავე მწუხარებით აკვნესდა, როგორც ყოველთვის, როცა კი ისე უდროოთ დაღუბული ახალგაზდა, ჩვიდმეტი წლის ჰაეროვანი არსება წარმოუდგებოდა ხოლმე...

აი, ის პატარა მწვანით მოსილ გორაკზე აგებული ძველი, თითქმის სრულიად დანგრეული, სინოტივესგან კედლებ ჩამავებული ეკლესია, რომლის გვერდითაც პირველათ ნახა თეკლა; მაისის დამღვევი იყო; მზე ჩადიოდა და, თითქოს ენანებოდა დედამიწისათვის თვალის მოშორება, მთის წვერზე შეჩერებულიყო და იქიდან, გამოსათხოვრათ, ოქროსფრათ მზინავ სხივების უშველებელ ბრწყინვალე კონას გზავნიდა; სიო არ იყო, არც ერთი ფოთოლი არ იძროდა, ეკლესიის გარს ამაყათ ზევით ამართული ხეები თითქო განაბულიყვნენ, რომ რამენაირათ მზე არ დაეფრთხოთ; გორაკის იმ მხარეს, საითაც ხეები არ იზრდებოდნენ, მაღალ, მწვანე ბალახს შორის, აქა-იქ სასაფლაოს ქვები მოჩნდნენ; ეტყობოდა, ეს ადგილი დიდი ხანი იყო, თავის დანიშნულებას აღარ ასრულებდა, ქვების უმეტესი ნაწილი თითქმის მთლათ მიწაში ჩამალულიყო, დანარჩენებს ხავსი დაპატრონებოდა, ზოგის ნახეთქებიდან პატარა ჩირგვებსაც კი ამოეყოთ თავი.

აი, ამ გორაკზე აღიოდა ჩქარი ნაბიჯით გიმნაზიაში ახლათ კურს დამთავრებული ყმაწვილი კაცი, რომელიც სოფლის მეორე მხარეს მიეჩქარებოდა, იქ, სადაც ტოტებ გაშლილ დიდ მუხას ქვეშ საღამოობით მთელი ამ სოფლის ახალგაზდობა იკრიფებოდა ხოლმე და მხიარულათ ატარებდა ღროს ცეკვა-თამაშში და სიმღერაში.

ჩამავალი მშის მშვენიერმა სურათმა, ოქროსფრათ მზინავი სხივების ბრწყინვალე კონამ ყმაწვილი კაცის ყურადღება მიიპყრო; ის შეჩერდა გორაკის პირს და... და ამ ღროს მარჯვნივ დაინახა

შუა ტანის ახალგაზდა ქალი, რომელიც ეკლესიის გვერდით მდგომ ნაძვის ხის ძირს მიყრდნობოდა და გაუნძრევლათ, ხმა ამოუღებლათ, თითქმის სულ მოუთქმელათ გაიყურებოდა დასავლეთისაკენ; ქალს უბრალოთ, მაგრამ ლამაზათ ეცვა; თეთრი დარაიის კაბა, მოყვითალო ტყავის სარტყელი, იმავე ტყავის საზაფხულო ფეხსაცმელები და იმავე ტყავის ლენტის მის ფეხთით ბალახზე დაგდებულ პატარა, თეთრი ჩალის ვაჟურ-შლიაბაზე—ყველაფერი გემოვნურათ იყო შეხამებული; პლატონი უყურებდა ნაზ პროფილს, რომელსაც მზის სხივები თითქო რალაცნაირათ ასპეტაკებდენ, უყურებდა სქელ წაბლის ფერ თმას, რომელსაც იგივე სხივები ოქროს ფრათ აბზიანებდენ, უყურებდა მთელ ამ ახალგაზდა, ჰაეროვან, თეთრათ მოსილ არსებას, რომელიც თითქო განსაკუთრებით იზიდავდა მზის შუქს, რომელსაც ოქროსფერი სხივები თითქო გარს ეხვეოდენ, ეალერსებოდენ, ეთამაშებოდენ, უყურებდა—და თვალი ვერ მოეცილებინა მისთვის.

— ვინ უნდა იყოს?—ჰფიქრობდა პლატონი და ჩამავალი მზის მშვენური სურათი სრულებით ავიწყლებოდა, — ვინ უნდა იყოს?—ჰფიქრობდა ის და ვერაფრით ვერ მოეხერხებინა ამ კითხვაზე თავისი თავისთვის რაიმე პასუხი მიეცა. როგორ არ გავდა ამ სოფელში მცხოვრებ სხვა ქალიშვილებს, უმეტეს ნაწილათ გიმნაზიის მესამეთხუთე კლასიდან გამოსულებს და სოფელში ცხოვრებით გასუქებულ-გაწითლებულებს, სიცოცხლით და ჯან-საღობით სავსეებს... ეს კი, ეს რა ფერმკრთალი, რა სუსტი, მაგრამ რა კარგი, რა მშვენებია!

ამ დროს ქალიშვილმა ღრმათ ამოიოხრა და მისკენ მოიხედა: ერთ წამს მის სახეზე გაკვირვება გამოიხატა, მაგრამ მალე მან შენიშნა, რა აღტაცება, რა მოწიწება და მორჩილება გამოკრთოდა ახალგაზდა კაცის მისდამი მიპყრობილ თვალებში. მაშინ მის ფერმკრთალ ტუჩებს, დიდ, მუქ ლურჯ თვალებს, მთელ მის დაფიქრებულ, დამშვიდებულ სახეს მოულოდნელი ეშმაკური ღიმილი შეებარა: რა ნაირათ დაამშვენა ამ ღიმილმა ეს თითქო დაღონებული, თითქო ავითმყოფობისაგან მისუსტებული სახე!

— იქნება ეს თქვენისაყვარელი ადგილი არის და ახლა გწყენსთ, რომ აქ სხვასაც ხედავთ?— მოესმა პლატონს ქალის ხმა, რომელმაც, თითონაც ვერ გაეგო რათ და როგორ, მთლათ აუკანკალა გული.

— კი... არა... ჰო, ეს ჩემი საყვარელი ადგილია!—ბოლოს წარმოთქვა პლატონმა.—მაგრამ...

— მაგრამ აწი თავს მიანებებთ, თუ შეცნა სიარულს მოვიწოდებ?—გაიცინა ქალმა, რომელსაც უფრო ყმაწვილი კაცის დაბნეული სახე აცინებდა, ვიდრე მისი სიტყვები.

— როგორ? ნუ თუ ორივეს ვერ დაგვიტევს?—მოახერხა გაღიმება პლატონმა.

— თუ ჩემი მეზობლობის წინააღმდეგი არა გაქვსთ რა!—თავის დახვრით დაეთანხმა ქალი და ისევ ღიმილით შეხედა.

— თქვენ?

— მე? არაფერი! მით უფრო, რომ თუ ერთმანეთს ხელი შევუშალეთ, შეგვიძლია ეკლესიის სხვა-და-სხვა მხარეს მოვეწყობოთ და ერთმანეთი ვერც კი ვნახოთ... — ისევ ეშმაკურათ გაიცინა ქალმა.

ასე გაიცნეს პირველათ ერთმანეთი. არასოდეს არ დაავიწყდება პლატონს ის მაისის მშენიერი საღამო, ქველ დანგრეულ ეკლესიის გვერდით სასაფლაოს ქვებზე თეკლასთან ერთათ გატარებული; რა ნაზი გრაციით იყო აღბეჭდილი თეკლას ყოველივე მიმოხვრა, ყოველი ქცევა, ყოველი ხელის განძრევა! რა მომხიბლავ მუსიკათ ჩაესმოდა პლატონს ყოველი მისი უმნიშვნელო, უბრალო სიტყვა! თეკლამ უამბო, მე და მამამ აქ სახლი ვიქირავეთ და მთელი ზაფხული აქ უნდა გავატაროთ; პლატონი, რომელიც ყოველ ზაფხულს აქ ატარებდა თავის დედ-მამასთან ერთათ, აღტაცებაში მოიყვანა იმ წარმოდგენამ, რომ მთელი ზაფხულის, მთელი სამი თვის განმავლობაში შეეძლება ყოველ დღე ნახოს თეკლა...


ელ. წერეთელი.
(დასასრული იქნება)

ბ ი ბ ლ ი მ ბ რ ა შ ი ა

I.

Studia Biblica et Ecclesiastica... Volume V. Part I. Life of St. Nino by Marjory Wardrop and J. O. Wardrop: (ქართულათ: გამოკვლევა საბიბლიო და საეკლესიო... ტომი მე-V, ნაწილი I: „ცხოვრება წმიდა ნინოსი“, მარჯორი და ი. უარდროპებისა. ქ. ოქსფორდი).

წვენი მივიდეთ ზემოთ ამოწერილი სთაურის ინგლისური წიგნი, რომელიც დაბეჭდილათ კარგ ქადაგებზე და შეიცავს 88 გვერდს. ავტორნი, ქად. და ბატ. ადრამ-პები, წინასიტყვაობაში სწერენ: ამ თხზულების წყაროთ გვექნდა „საქართველოს სამთხუ“ გაბრან სპინინისა, „ქართლის მოქცევა“ და რუფინუსის და მოსე სტრეპელის ზოგი ადგილები. ამას გარდა, ცეკარლის გამოცემა „ახალი ვანანტი წმინდა ნინოს ცხოვრებისა“ ანუ „მეორე ნაწილი ქართლის ცხოვრებისა“. სხვა ხელნაწერებს შორის საყურადღებოა: 1) „საქართველოს წმინდათა ცხოვრება“ დაწერილი ქათალიკოზი არსენის მიერ მეათე სუკუნეში (დაცულია ჰეტეროგვის სამეცნიერო აკადემიაში),



2) შიშ მღვიმის მონასტრის ხელთახვერი, დაწერილი 1733 წ.; 3) ნათლის მცემლის მონასტრის ხელთახვერი, დაწერილი 1713 წ. 4) მარამ დედოფალს „ქართლის ცხოვრება“, რომელიც არ იყო ჩართული ვასტანგ მე-VI გამცემისათა შორის, დაწერილია 1636—1646 წ. წ.); 5) „ქართლის ცხოვრება“ გამცემული მეფე ვასტანგ მე-VI მიერ მე-XVIII ს. მაგრამ შეკრებილი წინა დროებებში, ფრანგული თარგმანი ბრძანესი. ქრონოლოგია ქართლის მოქცევის არეულია; ვასტანგის სახელებს 317 წ. მარინიუსი 327, ბრძანე 328, „ქართლის ცხოვრება“ 338 წ.; არც ერთი ეს მართალი არ უნდა იყოს. მართალია „ქართლის მოქცევის“ რიცხვი — 332 წ. ამ ნაირათ: წმინდა ნინო ჩამოვიდა საქართველოში 324 წ., მინიან მეფე მონათლა 332, გადაიცივლა 338 წ. ბოლოს ავტორნი ამბობენ: „შეიძლება საჭიროც არ იყოს მკითხველის ურადღობა მივაქციათ იმ როდეს, რომელიც ურეებს და ქალებს უთამაშაოთ ქრისტიანობის გავრცელებაში, გაცილებით უფრო საქართველოში, ვინემ სხვა ქვეყნებში. ებრაელთა უძველესი კოლონია აქ რიცხვით დიდი და მდიდარი უფილას და რაბინი ებრაელები, რომელიც თავის თავს უწოდებდა „ახალ ზავლეს“, დიდ მონაწილეობას იღებს ამ ისტორიაში, დედოფალი ნინო კი მოგვარებს ბიზანტიის ჰელენას, საფრანგეთის კლტოაღას და სხვა გვირგვინისან მივარველთ ქრისტიანობისას“.

II.

„წყარო“ წიგნი მეორე, შედგენილი არ. ქუთათეთელაძისაგან. ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზ. გამოცემა.

ადვილი არ არის კაცმა თქვას—ის წიგნი, რომლის სათაურიც ჩვენ ზევით ამოვწერეთ, სკოლებში სხმარებელი, სახელმძღვანელოა, თუ უბრალო საკითხავი, შემთხვევითი სტატიების კრება, ან და, თუ სახელმძღვანელოა, რომელ სკოლებში უნდა იხმარებოდეს, რომელ კლასებში და სხვა. ამის შესახებ არც შემდგენელი და არც გამომცემელი არას ამბობენ, რის უმთავრეს მიზეზათ უნდა ჩათვალდეს თვით წიგნის ორჯოფობა. იქნება შემდგენელ-გამომცემელმა ბრძანებ—რადგანაც ის მეორე წიგნია, ამიტომ გავრცელება ზირველისა და, მაშასადამე, აქ არავითარი განმარტება არ არის საჭიროფო. მაგრამ ეს ვერაფერი საბუთი იქნება, რადგანაც ზირველ ნაწილს არც არავინ იცნობს, გარდა საზნაურთ სკოლისა, არც არავისაგან მოწინებულდა და არც სადმე ხმარებაშია...

დავუბრუნდეთ წიგნის შინაარსს. ზირველ გვერდზე დაბეჭდილია პროვინციალური, ემწიფილისათვის ინტერესს მოკლებული და გაუგებარი ლექსი, რომელსაც „კახეთი“ ჰქვია. მოვიყვან თვით ლექსს.

„მიყვარხარ, ტკბილო კახეთო,
დიდო აღაზნის ქალაო,*)

*) ქალას გურიაში და კახეთში სხვა-და-სხვა მნიშვნელობა აქვს.

ირეო იალაზხედა,
ივრის პირებზე ჩალოო;
ბარდებში მძრომო ხოხობო.
ტურფაო ხარისთვალაო,
შირაქო, ცხოვრების დედაც,
ზედ ჯვირნების ფარაო“...

კახეთის დაწვრილებით დაწვრას რომ მოსდევდეს ეს ლექსი, განმარტებული რომ იყოს ამ წიგნში სადმე შინაქის მნიშვნელობა, როგორათაც კახეთ-ქიზიეისათვის, აგრეთვე თუმი-ფშავ-ხევსურებისთვის, მაშინ რამე მნიშვნელობა ექნებოდა, მაგრამ ახლაც კი სიტყვების უბრალო რასა-რუნია, რომელიც ემწიფილების გრძობა-გონებას არას ეუბნება, — და მეტი არაფერი. ამ ლექსს მისდევს იგავი „არწივი და გველი“. მოვიყვანთ ამ იგავსაც სიტყვა-სიტყვით, რათა შეიძლება დავანახოთ რა ენითა აქვს ნათარგმნი ის „უამრავი“ იგავები, რომელიც ამ წიგნში აქვს მოთავსებული:

„დაეშვა ცის სამყაროდან (?) არწივი აბიბიებულ კორდზე დასასვენებლათ. აქ მიწაზე დაინახა მგლინავი გველი, მომზურნე აღნაგმა მორთო თვისი წერტი (?) არწივის დასაწყლავათ (!) და გაქანა მისკენ. ფრთოსანთ მეფემ შედიდურათ გადახედა სცოდავ ქვეწარმავლს და მსწრაფლ ცის სიფრცეში მიიშალა“. აქ ისეთი დრამა-სიტუებია, რომ ემწიფილი თავსა და ბოლოს ვერ გაუგებს. ეველა-ეველს და ეს „მორთო თვისი წერტი“ რაღაა?.. „წერტი“ — ნესტარია, ლექსიკონში უწერია წიგნს; მაგრამ გველს რომ ნესტარი არა აქვს.. აქ რაღაც „недоразумѣніе“-ა, რომლის მსგავსს შემდგომაც ბლამათ შევხვდებით. ორმოცდა-ათმდის ამ გვარი იგავია მოთავსებული მკითხველის გასაგანიერებლათ. მართლა, უხირო იგავ-არაკების სიმრავლე შეადგენს „წყაროს“ ერთ თავისუბათაგანს. იქამდის მიდის ჩვენი ზედა-გოგის სიყვარული ამ ჯიშის ნაწარმოებისადმი, რომ ერთი და იგივე ორჯელს აქვს მოთავსებული. მაგ. „მამალი და ძაღლი“; მელები, მკლები, ლომები და სხვა მხეცები ისე ირევიან, რომ კაცი ფებს ვერ აუქნებს!.. ზატარ-ზატარა სტატიების ალაგი სულ ამ იგავებს დაუჭერია. ეს კიდევ არაფერი, რომ ენით, ფერმით ან აზრით სახარბიელო იყოს, მაგრამ სამწუხაროთ არც ერთი არ არის. ჩემი ნათქვამი არ შეეხება, რასაკვირველია, აკავის ორიგინალურ და ნათარგმნ იგავებს, რომლებიც დიდი სიამოვნებით იკითხება ზატარებისაგანაც და დიდებისაგანაც.

წიგნის ეველს განყოფილების დაწვრილებით გარჩევა უფლად შეუძლებელია გავეთში და არც საჭიროა. ვიტყვი მხოლოთ, რომ წიგნი უსისტეოთ არის შედგენილი, ენა საკმარისათ მოიკოჭლებს, ჩართული აქვს ისეთი ცნობები, რომელიც ამისთანა წიგნში სულ მეტია და გამომშველებელია ის, რაც აუცილებლათ უნდა უფილიყო... რომ სიტყვა არ გაგვიგებდეს დავასხელებთ მაგალითებს ჩვენი აზრის დასამტკიცებლათ. ზედაგოგოური

ზრინციბი ითხოვს—გადადი სწავლებასში ნაცნობიდან უცნობზე, ხელბედიდახ შორეულზე, ჩვენი ზედაგოვი კი ამ ზრინციბის წინააღმდეგ იტყვას: მცენარეებში ჯერ აწერილი აქვს ფინიკის ხე, ბანანი, ზურის ხე, ხელა შე-მდეგ—ვაზი, სელი და სხ. ასევე იტყვას ფრინველებისა და ცხოველების აღწერასში; ჯერ სიჩაქლემა, მერე აწი-ვი და უოჩანი.. ჯერ ღამი და ფოცხვერი, შემდეგ—ძღაბი, ციუვი და სხ... წელაწადის დროების აღწერას მისდევს, „წიგნების ბეჭდვა“. მერე „ხამის, შაღის და ღარაის მამზადება“. დე-ამიხისის წერილებს მიბეჭდილი აქვს, „კატობრიობის მეგობრები“, რომელსაც მისდევს—„დედობა, ღამის-თუფა, ხატობა“, სიდაც დაწერილებით არის ჩამოთვლილი საქართველოს რომელ კუთხეში რა შესანიშნავი დეობაა... დიდ სთაურ „ცხოველების“ შემდეგ აღწერილია მხლათ „მამიუნის“, ფრინველებში ჩახხირულია დამურა, თუმცა დამურას არავინ ფრინველს არ ეძახის; დატვირთული აქვები გარეულ ცხოველებშია მოქცეული და სხ.

სამშობლოს შესწავლის და გეოგრაფიის დიდი მნიშვნელობა სასწავლებლისათვის და მოსწავლეუთათვის ყველას სჯერა. ბატ. ქუთათელაძე კი უარ ჰყოფს. ეს მით უფრო საკვირველია, რომ წიგნში მოთავსებულია ისტორიული განყოფილება, დაბა-ქალაქების და სხვათა აღწერა, რომელთა შესწავლა გეოგრაფიით და ურუქით ყოფიანთა შეუძლებელია, უსარგებლო და უმარჯობის გონება-მეხსიერების გამათხსინებელი. უფრო მეტს ვიტყვი გეოგრაფიით და ურუქით ყველა ეს ერთი დიდი ზღაპარია, „იყო და არა იყო რა“—მეტა არაფერი...

ისტორიის გაზღაპრება კარგი არ არის, მაგრამ ზღაპრებს თავის თავთ საკმაო მნიშვნელობა აქვს ამისთანა წიგნში. ბ. ქუთათელაძეს ბლამათ ჩაურთავს, მაგრამ უნდა გამოვტყუდეთ, რომ ერთი ორის კარდა სრულიად ანტიპედაგოგიურია. ნუ თუ ჩვენ ზედაგოვს არა სჯერა, რომ ფანტაზიური, უზნო, ცხრა ადღიანი, თორმეტ თავიანი და ოცდა ოთხ ყურიანი დეუების ზღაპრების დრო წავიდა?!. რომელ რიგან სახელმძღვანელოში უნახავს ასეთი ზღაპრები?.. „ტურა-ქალების“ მოსზობის ამბავი — „მღვდლის, მამასახლისის და ბეგის სხვების ტურა ქალებათ გადაქცევა ჩონგურზე დაკვით“ და სხვა—უმახინჯებს უმარჯობებს ფანტაზიას და ამიტომ ერთხელ და სამუდამოთ გამოქვეყნებული უნდა იყოს ყოველ სახელმძღვანელო წიგნიდან.

ისტორიულ განყოფილებაში ქართველი ხალხის, მისი კულტურისა და ცხოვრების შესახებ თითქმის არაფერია. სამაგიეროთ მეტათ ვრცლათ არის მოთხრობილი ომებისა და ეგვიპტისის აშენების ამბავი. და ეს სრულიად ეთანხმება ავტორის შესხედულობას ისტორიის შესახებ. აი რას ამბობს იგი ერთ ადგილას: „ასე მომდინარეობდა

ჩვენი ისტორია: ხან სზარსელები გვჭკობდნენ, ხან ჩვენ.“ ესეა ყველამ იცის, რომ ისტორია ერთისა და ორი კაცის „სურვილით“ და შეთქმულებით არა კეთდება. ჩვენი ზედაგოვი კი აწმუნებს მკითხველებს, რომ „ქართველები ბოლოს შეითქვენ, დაეცენ მტერს, დაამარცხენ (?) და გააძევენ სამშობლოდან.“ ასე ჰგონია შეთქმულება საკმარისი იყოს ასეთი დიდი საქმისათვის, როგორც არის სამშობლოს განთავისუფლება... ამ გვარ შეცდომებს კარდა ბევრია ისეთი შეცდომაც, რომელიც ავტორის სიჩქარით უნდა აახსნას. დაფასებულ ერთს: „შეიქნა საშინელი ომი. ამ ომში ვახტანგს მუხარდაზე ჰქონდა გამოჭრილი წინ მკელი და უკან—ღამი. სიდაც განდებოდა თავის მკუხარე ხმით, მტერს თავზარს დასცემდა, მისი ხმისგან დარეტიანებულია და გონება დაკარგული სზარსელები აქეთ-იქით კარბოდნენ: „კრდიეთ მკლას თავსა“. განცხრებულ ომში რომ იყო ვახტანგი, აცნობეს, შეეფ ლეონმა ოთხმცოც ათასი მეომარი გაახლათო. შედრკა ფირიუზი და ზავი ჩამოაგდო“ და სხ... თუ მართლა ვახტანგის ხმისა ისე ეშინოდათ, რომ სზარსელებს გონება ებნოდათ და აქეთ-იქით კარბოდნენ, მაშ ადრევე „შემდრკალან“ და უცხო ჯარის გამოჭერენა სულ მეტია...

ესეა ცდილობენ ისტორიის სახელმძღვანელოში რაც შეიძლება ნაკლები ხრონოლოგია იყოს. ბ. ქუთათელაძე კი ისე ამბავს არ დასახელებს, რომ თან წელიწადიც არ მიაყოფოს, თუნდა ამ წელიწადს არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდეს: „ონოფრე მაჭუტაძემ დასწერა (1695 წ.) მცხეთის ისტორია; ვახტანგ ორბელიანმა (1710) დასწერა „მხურვალეებისათვის (?) სარწმუნოებისა“. და სხვანი მრავალნი ამისნი მზგავსნი...

სიჩიელ წმ. მამების მისვლას უეჭველია დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენში ქრისტიანობის განმტკიცებისათვის, მაგრამ ამ აზრის შესაგნებათ სრულყოფილ საჭირო არ არის იმ უშველებელი, ხრონოლოგიით სავსე ბიოგრაფიების მოქცევა სახელმძღვანელოში, როგორცაღ ჩვენა ვხედავთ „წყაროში“. ნუ თუ ზატოვცემულ ზედაგოვს ჰგონია რომ სიდაც უმარჯობები დაინსომებენ—რომელ დღეს გადაიცვალა ეს თუ ის წმიდანი, ან რომელ დღესაა მისი ხსენება. ან კიდევ, თუნდა გაიზეზინოს, ბეგრს რასმე შესძენს გონება-გძნობას?! უმარჯობის მოთხროვილების ასე აბუნათ ავდება, ვერაფერი თავდება თვით წიგნის რიგისაბისა!..

ი. გ—რი.

(დასასრული იქნება)

რედაქტორ-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

გაზეთის რედაქცია

დაძვევ 1901 წლისათვის
 მიიღება ხელის მოწერა
„მოამბე“ - ცნობის ფურცელ -ზე

ყოველ თვიური ჟურნალი
„მოამბე“
 (წელწადი მერვე)

ფასი ჟურნალისა გავსაზღვრეთ:
 კაპკასიაში და რუსეთში: ერთი წლით 10 მან.,
 ექვსი თვით 6 მან., სამი თვით 3 მან. საზღვარ
 გარეთ: ერთი წლით 13 მან., 6 თვით 7 მან., სამი
 თვით 5 მან.

წლიური ფასის განაწილება: პირველათ—5 მან.,
 1-ლ აპრილამდე—3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე—
 2 მანეთი.

ყოველ დღიური მახეთი
„ცნობის ფურცელი“
 (წელიწადი მეექვსე)

ფასი გაზეთისა გავსაზღვრეთ:
 კაპკასიაში და რუსეთში: ერთი წლით 6 მან.,
 ექვსი თვით 4 მან., ერთი თვით 75 კაპ., საზღვარ
 გარეთ: ერთი წლით 9 მან., ექვსი თვით 7 მან.,
 ერთი თვით 30 კაპ.

წლიური ფასის განაწილება: პირველათ—3 მან.,
 1-ლ აპრილამდე—3 მან., თითო ნომერი—3 კაპ.

ვინც „მოამბე“-ს მთელის წლით გამოიწერს,
„ცნობის ფურცელი“ უფასოთ გაეგზავნება, მხო-
 ლოთ ქალაქ გარეთ გასაგზავნ ფოსტის ხარჯის-
 თვის უნდა დაუმატოს 1 მან., რომელიც ხელის
 მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილ.

გაზეთი „ცნობის ფურცელი“ გამოვა 1900 წ.
 პირველ დეკემბრიდან გაფართოვებული პრეგრამით და
 გადიდებული ფორმატით.

ფასი განცხადების: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—
 10 კ., მე-4—5 კაპ.; თუ განცხადება 3-ჯერზე მე-
 ტად დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ელირებ.

ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе“ и
 „Цнобисъ-Пурцели“.
 (3—2)

**თფილისის
 ქალაქის გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ ამ 1900 წლის პირ-
 ველ დეკემბრიდან ქალაქის სადესინფექციო

სადგურზე შემოდებულია ახალი ნახარში, რომელიც
 ძელიც დაძვევებულია შინაგან საქმეთა მი-
 ნისტრისგან, ფანანსის სამინისტროს თანხმო-
 ბით. სადესინფექციო სადგური კოსრულობს
 დესინფექციას, როგორათაც სახლებისას, ავ-
 რეთვე ყოველ გვარ ნივთებისას. ამასთანავე,
 სადაც გადაძვევ სენით ავადმყოფები არიან
 სადესინფექციო სადგური კოსრულობს იმათი
 სახლების დესინფექციას უსასუიღლოთ. (3—3)

მიიღება ხელის-მოწერა 1901 წლისათვის ორ კვირულ
 გამტყმათა ქართულ

„მწყემს“ -ზე
 და

რუსულ „ПАСТЫРЬ“ -ზე

ჟურნალის ფასი:

12 თვით „მწყემსი“ 3 მ.	6 თვით „მწყემსი“ 2 მ.
— „რუსული“ 3 „	— „რუსული“ 2 „
— „ორივე გამოცემა 5 „	— „ორივე გამოცემა 3 „

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც
 უფირილასში, აგრეთვე ქუთაისშიაც. თბილისში წერა-კი-
 თვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მალა-
 ზიაში, ბ. შიო ქუჩუკაშვილთან. ფოთში—დეკანოზ
 მ. გრიგოლ მაჭაროვთან; საჩხერეში—ყარამან ჩხეი-
 ძესთან; ახალციხეში—დეკანოზ დ. ხახუტოვთან; ახალ-
 სენაკში—ბლალოჩინ მამა არისტარქ კალანდარიშვილ-
 თან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები
 დაეთმობათ მთელი წლით ორივე გამოცემა სამ
 მანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: ქუთაისში დეისა-
 ძის სახლებში და უფირილასში რედაქტორის საკუთარ
 სახლებში

ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: Въ
 Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМ-
 СИ“ и „ПАСТЫРЬ“.

რედაქციაში მოიპოება წარსული წლების რამ-
 დენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რო-
 მელიც ნახევარ ფასათ დაეთმობათ მსურველთ.

1901 წლის ხელის-მომწერთ პრემიით (საჩუქ-
 რათ) აქვს დანიშნული დიდი სურათი ყოველად
 სამღვდლო ლეონიდისა, იმის მსგავსი, როგორიც
 არიან შოთა რუსთაველისა და თამარისა.

(3—1)